პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1980 წელი ხუთშაბათი 11 სექტემბერი № 209 (17852) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

# ყრილობისწინა შრომითი მაჯისცემა

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# ხუთწლედის შესრულება ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის ღირსების საქმეა

[illegible] ნავამ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდვანი ვ. ი. ალავიძე, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ი. შინჯიაშვილი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გ. პ. გამცემლიძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე თ. კ. ჯაბადარი, რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, სახმომარაგების უფროსი ა. ი. ბუაძე, სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ზ. გ. გენძეხაძე, რომლებმაც გააკეთეს ინფორმაციები გაწეული მუშაობისა და სამეურნეო წლისა და ხუთწლედის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

## როცა გაწეულ მუშაობას ვაანალიზებთ

**რესპუბლიკის** მშრომელები, რომლებიც კანონიერად ამაყობენ წარმატებებით, მიღწეულს არ სჯერდებიან. პარტია გვასწავლის: წარმატების შემდეგ გულხელი კი არ უნდა დავიკრიფოთ, არამედ უნდა ვამრავლოთ ისინი, ვხედავდეთ ნაკლოვანებებს, მტკიცედ ვიბრძოდეთ მათი აღმოფხვრისათვის. ეს მოითხოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრისა და 1980 წლის ივნისის პლენუმებმა, ეს თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში ალმა-ათაში გამართულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავს.

მაგრამ, როგორც გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ ყველგან საჭირო ტემპით როდი მუშაობენ. ბევრმა საწარმომ, მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა, უკანასკნელ ხანს მკვეთრად შეანელეს შრომის ტემპი, ჩაშალეს სახელმწიფო დავალებების შესრულება, არღვევენ წარმოების დადგენილ ნომენკლატურას. საგრძნობლად ჩამორჩნენ ისეთი ქარხნები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული, ქიმიური, თბილისის ჩარხსაშენებელი, ფოლად-თუჯსასხმელო ქარხნები, ზესტაფონის „საქკაბელი", ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანა", შორაპნის „ელექტროელემენტი", კვაისის ტყვია-თუთიის მადაროთსამმართველო, სამშენ მასალათა მრეწველობის თითქმის ყველა საწარმო.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ახლაც კი, როცა ცოტაღა დარჩა წლის დამლევამდე, არიან საწარმოები, რომლებიც კვლავ მიმართავენ საგეგმო დავალებების შესწორება-შემცირებას, რაც განაპირობებს წარმოების ზრდის ისედაც შენელებული ტემპის შეყოვნებას. ამ საწარმოების ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ პერსპექტივას, არ ფიქრობენ მარაგნამეტზე და აპირებენ მეთერთმეტე ხუთწლედი მუშაობის ნელი ტემპით დაიწყონ.

მიღწეულ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ოლქმა. მაგალითად, აფხაზეთის ასსრ მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ რვა თვეში უზრუნველყვეს სამრეწველო წარმოების მოცულობისა და პროდუქციის რეალიზაციის ზრდის გეგმის შესრულება, გამოუშვეს 8 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. ამასთან მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. აფხაზეთის მშრომელებმა გადაწყვიტეს წლის დამლევამდე შეინარჩუნონ ახლანდელი ტემპი, დეკემბრის პირველ ნახევარში დაამთავრონ ხუთწლედი და თვის მთელი მეორე ნახევარი იმუშაონ მომავალი ხუთწლედის ანგარიშში.

სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მიღწევებით აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები. პარტიული ორგანიზაციების ვალია, არა მარტო განამტკიცონ ეს წარმატებანი, არამედ ამრავლონ კიდეც ისინი, თვალი არ დახუჭონ ნაკლოვანებებზე, რომლებიც სამწუხაროდ, არცთუ ისე ცოტაა. ეს არის საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების ორგანიზაციული შეცდომები, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის უინიციატივობა, ნაკლოვანებები მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, სუსტი ბრძოლა თბოენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის.

გაფართოებულმა სხდომამ ხაზი გაუსვა, რომ ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროულ ამოქმედებასა და ათვისებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წლისა და ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, არამედ მეთერთმეტე ხუთწლედში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდის მტკიცე ბაზის შექმნისათვისაც. მაგრამ ყველა ასამუშავებელ მშენებლობაზე როდია შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია. არ არის უზრუნველყოფილი მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათსაშენებელი მრეწველობის მთელი რიგი სიმძლავრეების მწყობრში ჩაყენება, ჩამორჩენა იგრძნობა მსუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობაზე. შეუწყნარებლად გაჭიანურდა გაგრის კლიმატურ-ბალნეოლოგიური საავადმყოფოს მშენებლობა.

მკაცრად, პრინციპულად გააკრიტიკეს იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც ამჯობინებენ სამუშაოები შეასრულონ არასაგეგმო ობიექტებზე, ქსაქსავენ სახსრებს.

სხდომაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდების საკითხებს. ამ დარგში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, არის ნაკლოვანებები. სხდომაზე აღინიშნა, რომ ჭეშმარიტად დიდი გმირუ- [illegible]

## [illegible]

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა, რომ მომჭირნეობის რეჟიმის, დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის, ნედლეულის, მასალების დანაკარგების თავიდან აცილების საკითხები უაღრესად აქტუალურია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სახავენ ამოცანას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს დისციპლინისა და მომთხოვნელობის ამაღლებას, დანაკარგების შემცირებას სახალხო მეურნეობაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჯერ კიდევ 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ გაიგონ ამინდის პირობებით გამოწვეული სიძნელენი, მაგრამ მათ არ შეუძლიათ და არ სურთ მიიღონ არსებულ სიძნელეთა ახსნა-გამართლებად უყაირათობის, უპასუხისმგებლობისა და გულგრილობის ფაქტები. დანაკარგების საკითხი არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი პოლიტიკური საკითხიც არის, და იმათ, ვინც უსულგულოდ ეკიდება სახალხო დოვლათს, უნდა მოვკითხოთ პარტიული წესდებისა და საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით. მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყველა სამუშაო უბანზე, თითოეულ შრომით კოლექტივში შევქმნათ მაღალი მომთხოვნელობის ატმოსფერო, გავადიდოთ ხელმძღვანელ მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა, გავაუმჯობესოთ შესრულების კონტროლი და შემოწმება, არ დავჯერდეთ გეგმების შედგენას, ამა თუ იმ ღონისძიების, გადაწყვეტილების შემუშავებას, ამასთან ყველაფერი, რასაც ჩავიფიქრებთ, განვამტკიცოთ საქმით. დადგა დრო, რომ უფრო პრინციპულად, უფრო მკაცრად შევაფასოთ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის თითოეული დარღვევა, ნაკლოვანებების, მოტყუების, დატაცების მიჩქმალვის ფაქტები და ა. შ.

ამ ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის მთელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ განმტკიცდეს დისციპლინა სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში. ეს ბრძოლა უნდა წარიმართოს ახალი ძალით. ამ ბოლო დროს გამოვლინდა კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საწარმოებში პირველი საჭიროების საქონლის დიდი დატაცების შემთხვევები. უნიათობის შედეგად ლპება საკონსერვო-გადამამუშავებელი მრეწველობისათვის გათვალისწინებული ასობით ტონა ხილი და კენკრა, არ იყენებენ რეზერვებს.

ახლა მთავარია არა მარტო აღვზარდოთ კადრები, დავრაზმოთ ისინი სიძნელეთა დასაძლევად, არამედ მკაცრად მოვთხოვოთ მათ — და აქ პირველი და გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით პარტიულ ორგანიზაციებს.

## შეუფერხებელი მომარაგება გეგმის შესრულების საწინდარია

**ჰკითხეთ** ქარხნის დირექტორს, მშენებლობის უფროსს, რა უშლის ყველაზე უფრო ხელს დაქვემდებარებული საწარმოს მუშაობას, და უსათუოდ გეტყვიან, პარტნიორთა არაკეთილსინდისიე- [illegible] მლებშიც ჩაწერილია, რომ დამამზადებელი ვალდებულია, კისრულობს პროდუქცია მიაწოდოს განწესების შესაბამისად. მაგრამ რა განწესებზეა ლაპარაკი, გაუგებარია, ფორმა თითქოს დაცულია, მაგრამ პირდაპირი ხანგრძლივი კავშირურთიერთობის შინაარსი, ცოცხალი სული არ იგრძნობა.

სწორედ ეს არის მოწყობილობის, ლითონკონსტრუქციების, საშენი და სხვა მასალების ურიტმო მიწოდების ძირითადი მიზეზი, რაც იწვევს მოცდენას და ჩამორჩენას.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ვერ მოგვარდა ისეთი საჭირო საკედლე მასალების საკმაო რაოდენობით გამოშვება, როგორიც არის აგური და გაჯი. მათი დამამზადებელი საწარმოები შესაძლებლობათა მხოლოდ ნახევარს იყენებენ.

და ასეთი ვითარება მარტო საშენ მასალათა მრეწველობის სისტემაში როდია.

კიდევ უფრო უარესია ის, რომ ამა თუ იმ ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ წარმოების მუშაკები თვეობით, ხანდახან წლობითაც კი ვერ ითვისებენ ტექნოლოგიას, და ძვირადღირებული სამამულო თუ იმპორტული მოწყობილობა ცდება და ფუჭდება. მაგალითად, ორი წელია არ მუშაობს პნევმოტრანსპორტი, ათობით ბაგირგზა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ორი კორპუსი, რუსთავის ქიმიური ქარხნის ზოგი მოწყობილობა.

დაწვრილებით ითქვა რკინიგზის, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის შესახებ. ჯერ კიდევ დიდია ვაგონების მოცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს. ეს კი აფერხებს პროდუქციის გაგზავნას, ზოგჯერ რეალიზაციის გეგმათა შეუსრულებლობის მიზეზი ხდება.

თავისი საქმიანობის ანალიზისადმი ლენინურად მომთხოვნელი მიდგომა ყველა საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციას, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, კოლექტივებს საშუალებას მისცემს გამონახონ დამატებითი რეზერვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის ნაყოფიერების გაზრდას თითოეულ სამუშაო ადგილზე, რესურსების უფრო რაციონალურ და მომჭირნე ხარჯვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ ყველა სამინისტროს, უწყებას, საწარმოს, კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტს მოსთხოვა არ დაიშურონ ძალღონე, სახსრები, ენერგია წლის დამლევამდე დარჩენილი თითოეული თვის, თითოეული კვირის, დღისა და საათის მაქსიმალური გამოყენებისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ მიმდინარე წლისა და მეათე ხუთწლედის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები ყველა სამეურნეო-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

თითოეული კომუნისტის, თითოეული მშრომელის ღირსების საქმეა ვადამდე შეასრულოს ხუთწლედის დავალებანი. სხდომამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის მშრომელები თავს გაართმევენ ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. (საქინფორმი).



## რეკონსტრუქციასთან ერთად

**დასასრულს** უახლოვდება თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის შემდეგ მისი მწარმოებლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

რეკონსტრუირებულ საამქროებში უკვე დამონტაჟებულია და პროდუქციას უშვებენ უახლესი საბჭოური, პოლონური და ჩეხოსლოვაკიური დაზგები და მოწყობილობა.

კომბინატის მშრომელები ჩაებნენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ მხარი დაუჭირეს ქვეყნის მოწინავე საწარმოების თაოსნობას და წარმატებით შრომობენ დევიზით: „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა". ბევრმა წარმოების მუშაკმა ვალდებულება იკისრა 1981 წლის პირველი კვარტალის გეგმა 28 თებერვლისათვის შეასრულოს.

**სურათებზე:** მოწინავე ფეიქარი, ცვლის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნორა ნოზაძე. საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავემ ვალდებულება იკისრა შეასრულოს პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე — 28 თებერვლისათვის; თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" საქსოვი საამქრო რეკონსტრუქციის შემდეგ.



გ. ნახუცრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# დაგეგმილზე მეტი ჩაისათვის!

## ცხაკაიელებმა გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით(?) გააკადეს

— **მიღწეულია** სანუკვარი მიჯნა, რომელსაც ცხაკაიელი მეჩაიეები კრეფის დაწყებიდან ესწრაფოდნენ — განაცხადა „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ესვანჯიამ. — შრომის კარგი ორგანიზაციის შედეგად შარშანდელთან შედარებით ლიკვიდირებულია ჩამორჩენა ჩაის ნედლეულის დამზადებაში.

ცხაკაიელმა ინიციატორებმა წარმატებით დაიწყეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავი დამკვრელური ვახტი. რაიონის მშრომელები ჩაის ნედლეულის კრეფაში თავდადებული შრომით კონვეიერის პლანტაცია-ტრანსპორტი-ფაბრიკა შეუფერხებელი მუშაობის მაგალითს უჩვენებენ. კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად 9 სექტემბრისათვის რაიონში მოიკრიფა და გადასამუშავებლად ფაბრიკებს ჩაბარდა 11.254 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, გეგმა-ვალდებულება კი 11.250 ტონას ითვალისწინებდა. შარშანდელთან შედარებით მოკრეფილია 851 ტონით მეტი ნედლეული. ამასთან მთლიანად მეათე ხუთწლედში გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 10.890 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

ჩინებულად იმუშავეს უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის ინიციატორმა კოლმეურნეობამ, გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, ზანის ჟდანოვის სახელობის, ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობებმა.

ჩაის ნედლეულს შეუფერხებლად ამუშავებენ ცხაკაიისა და უშაფათის ჩაის ფაბრიკები.

ცხაკაიელი მეჩაიეები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან, დღითიდღე აჩქარებენ სამუშაოთა ტემპს, რათა მომავალი სკკპ XXVI ყრილობა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა აღნიშნონ ახალი მიღწევებით დარგის განვითარებაში, სეზონის დამთავრებამდე სამშობლოს დამატებით მისცემენ 750 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. ამჟამად ვალდებულების ანგარიშში უკვე მოიკრიფა და ფაბრიკებს ჩაბარდა 70 ტონა ჩაის ნედლეული.

# მეცნიერება და წარმოება ერთობლივ ვახტზე

**ქართველი** მეცნიერები საყრილობო ვახტს ეწევიან რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანებებსა და სამრეწველო საწარმოებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით. სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავად მათი ერთობლივი სოციალისტური ვალდებულებების მიზანია დააჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში მეცნიერებსა და წარმოების მუშაკებს ეხმარება უკანასკნელ წლებში შეძენილი თანამეგობრობის გამოცდილება.

კითხვით, თუ როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების კოლექტივებისა და ფაბრიკა-ქარხნების მშრომელთა ურთიერთობა, რომელიც საფუძვლად დაედო საყრილობო ვალდებულებებს, დაიწყო საუბარი საქინფორმის კორესპონდენტმა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესთან, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ი. გვერდწითელთან.

— სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, — თქვა ი. გვერდწითელმა, — საჭიროა წარმოების სხვადასხვა დარგის ტექნიკური დონის ამაღლების ტემპის დაჩქარება. ამიტომ მეათე ხუთწლედის შუა ხანებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის, მეტალურგიის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტების, საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის, ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერმა მუშაკებმა და მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებმა იკისრეს კომპლექსური სოციალისტური ვალდებულებები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ამ მიმართულებით გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა უზრუნველყვეს პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საშუალებათა დანერგვა ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში", თბილისის ქარხანა „მიკროძრავაში", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, მარნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში.

სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო ნამუშევართა დაჩქარებული დანერგვისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ჩაებნენ ახალი ინსტიტუტები და საკონსტრუქტორო ბიუროები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად მეცნიერებმა და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოთა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნონ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი და იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებები 1980 წლისათვის — დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის.

**— თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ იმ ნამუშევრებზე, რომლებსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.**

— თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით სრულდება, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ამიტომ 1980 წლის შეჯიბრების ინიციატორთა ნამუშევრებს დავასახელებ.

სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „სამთოსოფლმანქანის" და თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანის" მეცნიერი მუშაკები ქმნიან ჩაის საკრეფი მანქანის მოდერნიზებულ ნიმუშებს. სამუშაო ვადამდე, თვე-ნახევრით ადრე შესრულდება. იგივე კოლექტივები ეძიებენ ლითონის დაზოგვის საშუალებას ჩაის სასხლავი აპარატების წარმოებისას. მადნეულის სამთო-მამდიდრებელ კომბინატში უკვე დამთავრდა ავტოკლავურ-ჰიდრომეტალურგიული დანადგარის მოდერნიზება. ეს არის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიისა და არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგი. სადაცაა დამთავრდება ასკანის საბადოს ბენტონიტური თიხების ნარჩენების გამდიდრებისა და ფაიფურის მრეწველობაში გამოყენების ტექნოლოგიის დამუშავება. მას ასრულებენ კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, „საქსამთოქიმმრეწვის" საწარმოო გაერთიანების მახარაძის მადაროთსამმართველო და ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „საქსასოფლტექნიკის" დიღმის ექსპერიმენტულ ქარხანასთან ერთად ახორციელებს „ტ-25ა" ტიპის 100 ტრაქტორის მოდიფიკაციას მთის რაიონებში ბალახის გასათიბად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი თბილისის სატრანსპორტო გაერთიანებასთან ერთად ქმნის საცდელ-საწარმოო უბანს. აქ დაამზადებენ ტროლეიბუსის დენმიმღებების მაღალეფექტიან გრაფიტის დეტალებს. ეს გააუმჯობესებს რესპუბლიკის დედაქალაქის საქალაქო ტრანსპორტის ექსპლოატაციის პირობებს.

—შეჯიბრებას— [illegible] მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებისათვის, მოიცვა ათობით სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი, სამრეწველო საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია. შრომითი მეტოქეობის შედეგები წლის ბოლოს შეჯამდება.

**— სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრია დამატებითი სოციალისტური ვალდებულებები. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დამახასიათებელი შრომითი და სამეცნიერო კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების ამ ახალი ეტაპისათვის?**

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ" ნათქვამია, რომ შეჯიბრების მიზანია ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მეცნიერების, სპეციალისტების, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მეცადინეობა მოახმაროს წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და ინტენსიფიკაციის ძირეული პრობლემების გადაწყვეტას. შეჯიბრების ახლანდელი საყრილობო ეტაპის ძირითადი ნიშანი ის არის, რომ სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ ნამუშევართა დანერგვის საკითხებს რესპუბლიკის შრომით კოლექტივებთან ერთად წყვეტენ არა მარტო მეცნიერებათა აკადემიის სისტემის სამეცნიერო დაწესებულებანი, საქართველოს სხვადასხვა სამინისტრო და უწყება, არამედ საკავშირო დაქვემდებარების ინსტიტუტებიც.

აი მაგალითებიც: მცირე სიმძლავრის ელექტრომანქანების ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მუშაკებმა ივალდებულეს ვადაზე ერთი კვარტალით ადრე დანერგონ თბილისის ქარხანა „მიკროძრავაში" სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობა ელექტროძრავების როტორების შეწონასწორებისათვის. დიდ და უაღრესად საჭირო სამუშაოს ასრულებენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და რუსთავის მთელი რიგი საწარმოების, მეტალურგიული და ცემენტის ქარხნების, ქიმიური კომბინატის, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივები. სწავლობენ შრომის პირობებსა და დახმარებას უწევენ ამ საწარმოთა სამედიცინო მუშაკებს პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკასა და ადრეული ფორმების გამოვლენაში. ამუშავებენ, აგრეთვე რუსთავის სამრეწველო საწარმოებში შრომის პირობების გაჯანსაღების რადიკალურ ღონისძიებათა საერთო გეგმას. იგი წარდგენილი იქნება 1981 წლის 1 თებერვლისათვის.

ახლა, როცა რესპუბლიკაში რთველი დაიწყო, მეცნიერები მევენახეებს ეხმარებიან შეასრულონ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა — მოკრიფონ 770 ათასი ტონა ყურძენი. ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები „საქსასოფლტექნიკისა" და კახეთის რვა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოების მუშაკებთან ერთად ნერგავენ მართვის ავტომატიზებულ სისტემას „რთველს". ამ სისტემამ დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა შარშან და შარშანწინ. ახლა შემუშავებულია რთველის ოპტიმალური სტრატეგია. ამასთან, მუშავდება ყოველდღიური გეგმები ყურძნის კონკრეტული ჯიშების კრეფისა მისი ხარისხის, ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შესაძლებლობების, ღვინის ქარხნების სიმძლავრის გათვალისწინებით. არჩევენ გადაზიდვის ოპტიმალურ მარშრუტებს, განსაზღვრავენ მკრეფავებისა და ავტომანქანების მინიმალურად საჭირო რაოდენობას.

სამეცნიერო დაწესებულებათა და სამრეწველო საწარმოთა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, თქვა დასასრულ ი. გვერდწითელმა, ყველა პირობას ქმნიან კოლექტივებში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

# არაშავმიწანიადაგიანი მხარე — დამკვრელური მშენებლობა

**პარტიის** მომავალი ყრილობისათვის საყოველთაო-სახალხო მზადებამ კორექტივები შეიტანა ქართველი სოფლის მშენებლების გეგმებშიც, რომლებიც აშენებენ რსფსრ არაშავმიწანიადაგიანი ზონის ობიექტებს. და რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მუდმივმოქმედი სამშენებლო მატარებელი, რომელიც ვოლოგდაში იმყოფება, დგას სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების ავანგარდში.

ჩვენმა მშენებლებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი ყრილობის აღსანიშნავად, უთხრა ტელეფონით საქინფორმის კორესპონდენტს სამშენებლო მატარებლის უფროსმა გ. ნოზაძემ. — ჩვენ პირობა დავდეთ ყრილობის გახსნის დღისათვის შევასრულოთ ჩვენი მთავარი ობიექტის — ხისდამმუშავებელი კომბინატის მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ორი თვის გეგმა. კომბინატის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 25 მილიონ მანეთზე მეტია.

ჩვენს კოლექტივში 200-ზე მეტი კაცი შედის. ახლა ჩვენთან ფართოდ გაიშალა შრომითი მეტოქეობა ყრილობის აღსანიშნავად. მოწინავე კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც ო. პურიჭამიაშვილი, ნ. ბუჩუკური, ი. ტატალაშვილი ხელმძღვანელობენ, ზლობინის მეთოდით მუშაობენ და 130-140 პროცენტით ასრულებენ დავალებებს, ამასთან მაღალ ხარისხს აღწევენ.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1980 წლის 9 სექტემბერს 74 წლისა მძიმე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის პირველი მოადგილე ვიტალი ნიკოლოზის ძე ტიტოვი.

## ხუთწლედის მაგისტრალია ეფექტიანობა და ხარისხი

# ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ

Არაერთი ნათელი ფურცელი ჩაწერეს მშენებლებმა მეათე ხუთწლედის მატიანეში. საკმარისია გავიხსენოთ მძლავრი, მეტყველი, გრანდიოზული მშენებლობები: რუსთავის ქიმიური ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქუთაისის ავტოქარხანა, თბილისის გლდანის საცხოვრებელი მასივი. და თითოეულ მათგანში ჩაქსოვილია მშენებელთა ინიციატივა და შემოქმედებითი ძიება, თავდადებული შრომა და დროის გასწრების სურვილი. შრომითი კოლექტივები, მთავარ მეცადინეობას ახმარდნენ იმას, რომ უთუოდ შეესრულებინათ ჩვენი პარტიის XXV ყრილობის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები, — ვაშენოთ სწრაფად, მომჭირნედ, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე. ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ამ მოთხოვნებს კაპიტალური მშენებლობის დიდი ეფექტიანობის შემადგენელი ნაწილები უწოდა.

მტკიცედ ადგანან რა პარტიისა და მთავრობის მიერ მეათე ხუთწლედისათვის დასახულ გენერალურ გზას, სამინისტროს სისტემის მშრომელებმა გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. მოვიყვან რამდენიმე ციფრს. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 3.125 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი, 84.464 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლები, 14.470 ბავშვისათვის განკუთვნილი საბავშვო ბაღები, 4.061-საწოლიანი საავადმყოფოები, რაც აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. ცხოვრების საგზური მიიღეს მადნეულის სამთო-მამდიდრებელმა კომბინატმა, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანამ. რესპუბლიკის დედაქალაქი დაამშვენეს ისეთმა უნიკალურმა ნაგებობებმა, როგორიც არის რეკონსტრუირებული „დინამოს" სტადიონი და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, სასტუმრო „აჭარა" და ცენტრალური ტელეგრაფი. არცთუ ურიგო ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიაღწია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ ნახევარშიც.

რესპუბლიკის მშენებლები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ". ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მთელი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ იმას, რომ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმა, დროულად ჩავაყენოთ მწყობრში და ავითვისოთ ასამოქმედებელი ობიექტების საწარმოო სიმძლავრენი, შევამციროთ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა, უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის მყარი მუშაობა 1981 წელს — მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს.

დასახულის განხორციელება შეიძლება მხოლოდ რეზერვების ეფექტიანი გამოყენების, სამშენებლო წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სამუშაო დროის უკიდურეს დაზოგვის, მშენებლობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების გზით. და მაინც, შესაფერისი ბაზის (მხედველობაში მაქვს საჭირო სიმძლავრენი, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი, მაღალკვალიფიციური კადრები) უქონლად, ძნელია წარმატების მოპოვება ამ გზაზე. სამინისტროს აქვს ეს ბაზა, და იგი საშუალებას გვაძლევს არა მარტო მთლიანად, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შევასრულოთ საგეგმო დავალებანი. განვმარტავ ჩემს ნათქვამს აფხაზეთის მაგალითით.

როგორც ცნობილია, 1978 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ". სწორედ ამ დადგენილებით ხელმძღვანელობდა თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სამინისტროს აპარატი. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პროგრამის რეალიზაციაში დარგმა საუკეთესო ძალები ჩააბა. ჩვენ შევძელით აფხაზეთის სამშენებლო ბაზის განმტკიცება ისეთი დიდი საწარმოების ამოქმედებით, როგორიც არის მაგალითად ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატი, რომლის სიმძლავრეა წელიწადში 120 ათასი კვადრატული მეტრი პირობითი ფართობი, და სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატი წელიწადში 100 ათასი კვადრატული მეტრი სიმძლავრისა. ასე თანდათანობით იქმნებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სამშენებლო სიმძლავრეები. აფხაზეთის ტერიტორიაზე წლითიწლობით იზრდებოდა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა. აი კონკრეტული ფაქტებიც. თუ შარშან 1978 წელთან შედარებით ჩვენმა სამინისტრომ შეასრულა 4 პროცენტით მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, აფხაზეთში ზრდამ 20 პროცენტი შეადგინა. ახლა მოვიყვან მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ანალოგიურ ციფრებს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით: სამინისტროს სისტემაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 4 პროცენტით გადიდდა, აფხაზეთში კი 8 პროცენტით.

აფხაზეთში მშენებლობის გადიდებული მოცულობის გამო ახლებურად მოვეკიდეთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პრობლემის გადაჭრას, რაც დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხია. მეტ ყურადღებას ვუთმობთ ადამიანების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ ზრდას, სამუშაო ადგილის სწორ ორგანიზაციას, კარგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. მუშათა კადრების შესავსებად ბზიფში აშენდა 480 კაცისათვის გათვალისწინებული პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი, სადაც მომავლის სახლმშენებლები აღიზრდებიან. მარტო აფხაზეთში ჩვენი პროფტექნიკური სასწავლებლები წელიწადში 360-ზე მეტ ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშას ამზადებენ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ჩვენს საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემადგენლობა ყოველწლიურად ივსება უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებით. გარდა ამისა, გაგრის, სოხუმის, ტყვარჩელის სასწავლო პუნქტებში ყოველწლიურად სწავლობს და კვალიფიკაციას იმაღლებს 1.570 მუშა და 185 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

ჩვენი დარგის საწარმოებში — სოხუმის სახლთსაშენებელ კომბინატში, ბზიფის ექსპერიმენტულ სახლთსაშენებელ კომბინატში, № 6 ტრესტის ორგანიზაციებში გაჩნდა კარგად აღჭურვილი საყოფაცხოვრებო პუნქტები, ვრცელი და ნათელი სასადილოები. თანდათანობით ვწყვეტთ საბინაო საკითხსაც. ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში მარტო ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატისათვის 32 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებ[illegible]

[illegible] ნისძიებებმა დადებითი შედეგები მოგვცა. შემცირდა დენადობა, უფრო რიტმულად ამუშავდნენ საწარმოო ქვეგანაყოფები, მაგალითად, № 6 ტრესტი დიდხანს იყო ჩამორჩენილთა შორის. მაგრამ აი მას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი და ენერგიული ინჟინერი ქემალ ილიასის ძე დადალიფა, რომელმაც კომუნისტებზე დაყრდნობით შეძლო კოლექტივის ორგანიზება, მისი დარაზმვა დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, და ტრესტმაც ბოლო თვეებში გეგმის შესრულება იწყო. ვფიქრობ, მიმდინარე წლის დაძაბულ წლიურ პროგრამას სოხუმის სახლთსაშენებელი კომბინატიც გაართმევს თავს. წლის პირველ ნახევარში მისმა კოლექტივმა 48 პროცენტით მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში. ეს კარგი სამომავლო განაცხადია. სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვის გაუდიდებლად, მარტო შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე, მკვეთრად მოუმატა სიმძლავრეს ბზიფის ექსპერიმენტულმა სახლთსაშენებელმა კომბინატმა. გასულ თვეს მან შეასრულა მილიონ მანეთისაზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მაშინ, როცა ჯერ კიდევ იანვარში სულ რაღაც 0,6 მილიონ მანეთს ძლივს მიაღწია. ამ კოლექტივს განსაკუთრებით მინდა შევეხო. მიმდინარე წლის დამდეგიდან ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატის უფროსად დავნიშნეთ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბოგაჩოვი — გამოცდილი ხელმძღვანელი, წარმოების შესანიშნავი [illegible]

[illegible] ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები განუხრელად იზრდება. მაგალითად, სრულდება საცხოვრებლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელსაც ეწევა ჩვენი სამინისტრო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად.

ჩვენ გვახარებს წარმატებები. მაგრამ თვალს როდი ვარიდებთ არსებულ ნაკლოვანებებს. მაგალითად, გვაწუხებს ის ფაქტი, რომ დარგი თავს ვერ ართმევს შრომის ნაყოფიერების გადიდების საიჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმებს. კარგად ვხედავთ სუსტ რგოლებს, რომლებიც ხელს გვიშლიან არსებულ სიმძლავრეთა მთლიანად გამოყენებაში. ნაკლოვანებებს განაპირობებს შრომის სუსტი ორგანიზაციაც, სამშენებლო წარმოების არადამაკმაყოფილებელი ხარისხიც, ურიტმო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. ბევრი მუშაობა მოგვიწევს ამ პრობლემების გადასაჭრელად.

წინ ბევრი გადაუდებელი საქმე გველის. მაგალითად, აფხაზეთში წლეულს საექსპლოატაციოდ უნდა გადავცეთ 68.190 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი. დავიჩქაროთ მუშაობის ტემპი ისეთ მნიშვნელოვან მშენებლობებზე, როგორიც არის სოხუმის, ახალი ათონის, გუდაუთის საშენდი ნაგებობანი, სოხუმის „პეფსი-კოლას" ქარხანა, ტურისტული სასტუმროები ოჩამჩირესა და გუდაუთაში. განვახორციელოთ დასახული — ნიშნავს ღირსეული საჩუქარი მოვუმზადოთ სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

**Ნ. ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი.**
(საქინფორმი).

## ᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲔᲜ

**ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐᲨᲘ** საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ახლა ყოველი რესპუბლიკა, მხარე, ოლქი ისწრაფვის წარმატებით აიღოს მოსავალი და მაქსიმალური წვლილი შეიტანოს ქვეყნის პურეულ რესურსებში.

ამ თვალსაზრისით თუ შევაფასებთ ჩვენი მემინდვრეების საქმიანობას, ბევრი მათგანის გარჯა სანაქებო და მისაბაძია. წლეულს განსაკუთრებით იმარჯვეს წითელწყაროელმა მხვნელ-მთესველებმა.

ჰექტარობრივი მოსავლიანობა რესპუბლიკურ შესაბამის დონეს აღემატება გურჯაანში, გორში, მარნეულსა და სხვა რაიონებში, მაგრამ ბევრგან შარშანდელზე გაცილებით ნაკლები მოსავალი მოიყვანეს. მაგალითად, რესპუბლიკის ჰექტარობრივ მოსავლიანობას 6-10 ცენტნერით ჩამორჩნენ ახალციხის, თიანეთის, დმანისის, ასპინძის, ბორჯომის, სამტრედიის რაიონების მემინდვრეები.

მართალია, მკა დიდი ხანია დამთავრდა ახალციხის, გორის, ყვარლის რაიონებში, მაგრამ აქაური მემინდვრეები მარცვლის გაშრობის და პურპროდუქტების პუნქტებში მიტანას აყოვნებენ. ეს არის იმის მიზეზი, რომ მათ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმები არ შეუსრულებიათ. არადა, ამ რაიონებმა წლეულს მარცვლეულის იმდენი მოსავალი მოიყვანეს, რომ მისი ჩაბარებით გეგმას ორმაგი და სამმაგი გადამეტებით შეასრულებდნენ.

რესპუბლიკაში ძირითადად დამთავრდა თავთავიანი კულტურების მოსავლის დაბინავება, მაგრამ ეს საქმე ჯერჯერობით ბოლომდე ვერ მიიყვანეს წალკის, თიანეთის, ბოგდანოვკის რაიონებში, სადაც ერთი თვეა მკა მიმდინარეობს, ეს რაიონები არც სახელმწიფო ბეღელში გალეწილი მოსავლის მიტანას ეშურებიან. მარცვლეულის დამზადების გეგმა წალკის რაიონს მხოლოდ 24 პროცენტით აქვს რეალიზებული, ბოგდანოვკისას — 17,2 პროცენტით.

**Კ. ᲕᲐᲡᲐᲫᲔ.**

## ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

**ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ** დაკავშირებით, რომ 16 სექტემბერს იხსნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXXV სესია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სესიაზე წარსაგზავნი სსრ კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგაცია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ს. ი. გურენკოს მეთაურობით.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ბელორუსიის სს რესპუბლიკის დელეგაცია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ე. გურინოვიჩის მეთაურობით. (საკდესი).

## ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ

Საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა ბოლოდროინდელი თვალსაჩინო მიღწევები საგრძნობლად განსაზღვრა ყველგან და ყველაფერში მტკიცე წესრიგისათვის უკომპრომისო ბრძოლამაც.

გამოიძებნა მრავალი საყურადღებო ფორმა და მეთოდი, რომლებმაც ხელი შეუწყო მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებასა და დისციპლინის განმტკიცებას. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შტაბების შექმნაც უნდა ჩაითვალოს.

სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს იმისათვის, რომ დისციპლინის განმტკიცებას, კადრების დენადობის წინააღმდეგ ამ ბრძოლას კომპლექსური ხასიათი ჰქონდეს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესრულებას, შრომით კოლექტივებში დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებას, საერთო საქმისათვის თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, აქტიურად ემზადებიან ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავის შრომითი წარმატებებით აღსანიშნავად. რესპუბლიკის მთელ რიგ რეგიონებში შეიმჩნევა შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების საქმეში მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია, მაგრამ გასაკეთებელი ამ მხრივ მაინც ბევრია. სერიოზული ამოცანების წინაშე გვაყენებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ დისციპლინის განმტკიცებაში ძირეულ გარდატეხას.

როგორც დისციპლინის ამსახველი სტატისტიკის მონაცემებიდან ჩანს, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში მუშათა დენადობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა: მრეწველობაში 2 პუნქტით, მშენებლობაში — 2,2 პუნქტით, ავტოტრანსპორტზე — 0,9 პუნქტით, ხოლო სოფლის მეურნეობაში 0,3 პუნქტით გაიზარდა.

იმის გამო, რომ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, წარმოების მაღალი ორგანიზებულობის რიტმული მუშაობის უზრუნველყოფისა და დასაქმებულ მოქალაქეთა სამუშაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი არ უთმობდა საკმარის ყურადღებას, მთელ რიგ რეგიონებში და სახალხო მეურნეობის დარგებში, მუშათა დენადობის კოეფიციენტი 1980 წლის პირველ ნახევარში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა მრეწველობის დარგში: ზნაურის რაიონში — 14 პუნქტით, გურჯაანის — 12, ვანის — 6, ქარელის — 5, ახმეტის რაიონში — 3 პუნქტით. მშენებლობის დარგში: გურჯაანის რაიონში 28 პუნქტით, ქარელის — 22, ხელვაჩაურის — 7, თელავის — 2,4, ზესტაფონის — 2, თერჯოლის რაიონში — 3 პუნქტით. ტრანსპორტზე: ხელვაჩაურის რაიონში — 7, ზუგდიდის — 35, თერჯოლის რაიონში — 3 პუნქტით. სოფლის მეურნეობის დარგში: გულრიფშის რაიონში — 4, მახარაძის — 3, გალის რაიონში — 2 პუნქტით.

მუშათა დენადობის კოეფიციენტი კვლავ მაღალია და შეადგენს: საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში 25 პროცენტს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის და მელიორაციის სამინისტროს სისტემაში — 22 პროცენტს, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემაში—22 პროცენტს, „ცეკავშირის" სისტემაში—21 პროცენტს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 15 პროცენტს, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში 15 პროცენტს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 11 პროცენტს.

სამუშაო დროის ეფექტიანი გამოყენებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად 1979 წლის პირველ ნახევართან შედარებით 1980 წლის შესაბამის პერიოდში ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი მიზეზებით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში 65 ათასი კაცდღით შემცირდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 305 ათასი კაცდღით.

სტატისტიკის ნახევარი წლის მონაცემებით, რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერების გეგმა შარშან ვერ შეასრულა 126-მა, წელს კი 135 სამრეწველო საწარმომ. მათ შორის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის 17 საწარმომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს — 13-მა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს — 18-მა, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 9, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს — 11-მა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს 14-მა საწარმომ.

მიმდინარე წლის 7 თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით ვერ შეასრულა 187 სამრეწველო საწარმომ და მათი რიცხვი კვლავ განსაკუთრებით დიდია საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში (42), საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში (25), საქართველოს სსრ საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროში (18), საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებში (54).

შეუწყნარებელია ის გარემოებაც, რომ მთელმა რიგმა საწარმოებმა მიმდინარე წლის 7 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს რა რეალიზაციის გეგმა, ვერ უზრუნველყვეს ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმის შესრულება. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამტრედიის ბამბის სართავმა ფაბრიკამ, მაგალითად, პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 100,3 პროცენტით, ხოლო პროდუქციის მიწოდების გეგმა ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების მიხედვით 94 პროცენტით შეასრულა, თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკამ, შესაბამისად, 103 და 76 პროცენტით, თბილისისი მაუდ-კამვოლის კომბინატმა — 100,1 და 85 პროცენტით, თბილისის წინდების სამრეწველო გაერთიანებამ — 101 და 80 პროცენტით, თბილისის შალის საქსოვმა ფაბრიკამ — 104 და 98 პროცენტით, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აჟვალის სილიკატური აგურის ქარხანამ — 101 და 89 პროცენტით და ა. შ.

რესპუბლიკის მთელმა რიგმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დაუშვეს დიდი რაოდენობის არამწარმოებლური ხარჯები, რამაც გააძვირა გამოშვებული პროდუქციისა და შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება. მრეწველობაში, მაგალითად, არამწარმოებლურმა ხარჯებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 3055 ათასი მანეთი შეადგინა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 637 ათასი მანეთით გაიზარდა. მშენებლობაში, შესაბამისად, 1495 ათასი მანეთი და 637 ათასი მანეთით, სოფლის მეურნეობაში — 408 ათასი მანეთი და 358 ათასი მანეთით.

არამწარმოებლური ხარჯები დაშვებული იყო აგრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებში.

არამწარმოებლურ ხარჯებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რკინიგზის ვაგონების მოცდენებთან დაკავშირებულ ჯარიმებს. ამ მიზეზით, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა მიმდინარე წლის 6 თვეში 1568 ათასი მანეთი გადაიხადეს, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 876 ათასი მანეთით მეტია.

1980 წლის აღნიშნულ პერიოდში ხელშეკრულებებისა და ვალდებულებების მიხედვით პროდუქციის მიწოდების გეგმების შეუსრულებლობის გამო რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა მიიღეს 6982 პრეტენზია, რისთვისაც 30480 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადეს, ეს კი ნიშნავს, რომ შესაბამის პერიოდთან შედარებით პრეტენზიების რიცხვი 1392-ით გაიზარდა. თბილისის სამრეწველო საწარმოებს მიღებული აქვთ 2901 პრეტენზია და 9543 ათასი მანეთი ჯარიმა, ბათუმისას — შესაბამისად 517 პრეტენზია და 1926 ათასი მანეთი ჯარიმა. რუსთავისას — 787 პრეტენზია და 9455 ათასი მანეთი ჯარიმა, გორისას — 429 პრეტენზია და 848 ათასი მანეთი ჯარიმა.

1980 წლის ექვს თვეში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის გაცემის ვადები 324-ჯერ დაირღვა. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მოწყობილი შემოწმებებით გამოვლინდა, რომ მთელი რიგი საწარმო-ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ სტატისტიკურ ანგარიშგებაში შეტანილია სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის ამსახველი მეტად შელამაზებული და ფაქტობრივი მდგომარეობისაგან განსხვავებული მონაცემები. შემოწმებებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ბევრმა სამინისტრომ და ორგანიზაციამ მკაცრად განიხილა შემოწმების მასალები და დასახა კონკრეტული ღონისძიებები მომავალში ანალოგიური ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამგვარად, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, რომ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს მთელი რიგი ღონისძიებები აქვთ განსახორციელებელი შრომის, საგეგმო, საფინანსო და სახელშეკრულებლო დისციპლინის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად.

**Ვ. ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**
**საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.**

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

[illegible]

### საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გადმოგვცემენ

## ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

[illegible]

## ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

[illegible] შუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები. ამ მოქმედებას სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა პროვოკაციას, რომლის მიზანია სამხედრო და პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია ევროპაში, განიარაღების საკითხების გადაწყვეტის ღონისძიებებისათვის ძირის გამოთხრა, თქვა მან.

## ᲝᲠᲐᲡᲘ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ

[illegible] მებულ პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია დაიცვას დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და არ დაუშვას საერთაშორისო ურთიერთობაში „ცივი ომისაკენ" შემობრუნება, აღკვეთოს იმპერიალისტური პროვოკაციები. პეკინის პროპაგანდა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გააძლიეროს იმ-

### ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ



ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲨᲘ მწყობრში ჩადგა ახალი ხიდი, რომელმაც ადრიატიკის კრკის კუნძული დაუკავშირა კონტინენტს. ახალი თაღოვანი ხიდის სიგრძეა 1440 მეტრი. ხიდი როდი აბრკოლებს ნაოსნობას. მის თაღებქვეშ თავისუფლად დაცურავენ გემები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ახალი თაღოვანი ხიდი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲨᲘ

**ᲡᲐᲜ-ᲮᲝᲡᲔ.** აქ მიღებული ცნობების თანახმად, სალვადორელმა აჯანყებულებმა ამ ბოლო დღეებში წარმატებით განახორციელეს რამდენიმე ოპერაცია, შეერთებული შტატების მიერ გაწვრთნილი და შეიარაღებული მმართველი ხუნტის ჯარებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიაყენეს.

როგორც ნათქვამია ეროვნული წინააღმდეგობის შეიარაღებული ძალების სარდლობის ცნობაში, რომელთა წარმომადგენლები გაერთიანებულ რევოლუციურ შტაბში შედიან, დიდი ოპერაცია განხორციელდა სან-სალვადორიდან 20 კილომეტრზე. პატრიოტებმა მუშურ-გლეხური თავდაცვის რაზმების მხარდაჭერით დაიკავეს დაბა სან-მარტინი, რომლის მოსახლეობა შემდეგ შეიკრიბა მიტინგზე, რათა მისალმებოდნენ აჯანყებულებს.

სოიაპანგოს რაიონში გამართული ბრძოლების დროს აჯანყებულებმა წარმატებით მოიგერიეს დამსჯელთა რამდენიმე შეტევა, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჯავშანტრანსპორტიორები და ტანკები. გაანადგურეს ერთი ჯავშანტრანსპორტიორი და ორი ტანკი.

ამასობაში მმართველი ხუნტის სამხედრო ზედაფენაში ითვლება კრიზისმა, რომელიც გამოიწვია ხელისუფლების მოცილე პოლკოვნიკებს შორის მტრობის გამწვავებამ. ბრძოლამ შეიარაღებული ძალებისადმი კონტროლისათვის, რასაც ერთმანეთს ეცილებიან ერთი მხრივ, ხუნტის წევრი პოლკოვნიკი მახანო და, მეორე მხრივ, თავდაცვის მინისტრი, პოლკოვნიკი გარსია ხუნტის მეორე წევრ პოლკოვნიკ გუტიერესთან ერთად, აშკარა კონფლიქტის ფორმა შეიძინა. ხან ერთი, ხან მეორე მხარე იმუქრება, გადატრიალებას მოვახდენო. მახანოს მხარს უჭერს 14-დან 8 ყველაზე დიდი გარნიზონი, გარსია და გუტიერესი უმთავრესად ეყრდნობიან უშიშროების ძალებს, ეროვნულ გვარდიასა და პოლიციას.

სან-სალვადორში გავრცელებულ განცხადებაში ეროვნული წინააღმდეგობის შეიარაღებულმა ძალებმა ხუნტის კრიზისს უწოდეს „გორილების ჩხუბი" — ლათინურ ამერიკაში გორილებად იხსენიებენ რეაქციულ მხედრიონს. მახანოს, ნათქვამია დოკუმენტში, რომელსაც სურს, რეფორმების მომხრის სახელი მოიხვეჭოს, ისეთივე დანაშაული მიუძღვის მასობრივ რეპრესიებში, წლის დამდეგიდან შვიდი ათასი კაცი რომ შეეწირა, როგორც ხუნტის დანარჩენ წევრებს.

## ᲔᲠᲐᲧ-ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

**ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲘ,** 10 სექტემბერი. ერაყის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ირანის მთავრობა გააფრთხილა, რომ „საზღვარზე აგრესიულ გამოხდომებს საკადრის პასუხს გასცემენ". როგორც ერაყის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მან ბრალად დასდო ირანის სამხედრო სარდლობას, რომ პროვოკაციულად იწვევს სასაზღვრო ინციდენტებსა და შეტაკებებს, რომლებიც „ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს". წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საზღვარზე დაძაბულობის გაძლიერებაში დამნაშავე ირანის ხელისუფალნი „ცეცხლს ეთამაშებიან".

**ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ.** ირანის საჰაერო სამხედრო ძალების თვითმფრინავებმა, იუწყება თეირანის რადიო, გუშინ გაანადგურეს ერაყის რამდენიმე ტანკი, რომლებმაც დაარღვიეს საზღვარი ქერმანშაჰის პროვინციის ქალაქ ქასრი-შირინის რაიონში. საზღვარზე მომხდარი შეტაკებების დროს, ნათქვამია ამ ცნობაში, მოკლულია ორი და დაჭრილია 20 ირანელი სამხედრო მოსამსახურე. დაზარალდნენ ერაყელებიც.

ირანის რადიოს ქერმანშაჰელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ქასრი-შირინში ერაყის საზღვრიდან ინტენსიური საარტილერიო ცეცხლის დაშენის შედეგად დაირღვა წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგება.

### მოკლედ

## ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

*10 სექტემბერი*

- **ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ.** უნგრეთის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა ტრადიციულმა სრულიად უნგრეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ. სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში მიღწეული წარმატებები წარმოადგინა უნგრეთის 100 და 25 ქვეყნის 120 ფირმამ და გაერთიანებამ.
- **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** სახელმწიფო ვალის სწრაფი ზრდა ერთ-ერთი შედეგია მწვავე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისისა, რომელსაც საფრანგეთი განიცდის. აქ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 1975 წლიდან 1979 წლამდე პერიოდში საფრანგეთის ვალი 224 მილიარდი ფრანკიდან 380 მილიარდ ფრანკამდე გაიზარდა და ამჟამად მთლიანი ეროვნული პროდუქტის 15 პროცენტს შეადგენს.
- **ᲙᲐᲘᲠᲝ.** ეგვიპტეს მსოფლიოში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის დონის მიხედვით
- **ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ.** ინდონეზიაში განვლილ ათ წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში 70 დოლარიდან 315 დოლარამდე გაიზარდა შემოსავალი, განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ა. მაჰმუდმა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

# მთას დაუბრუნდა მთიელი

## ქართული სოფლის ეპოპეა

სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, აქაობას მეტწილად გადმოხვეწილი იმერლები ეტანებოდნენ. კახეთის აჯანყების შემდეგ კი, როცა დამარცხებული ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები, ვარაზაშვილები და ჯილაურები ციმბირში გარეკეს, ჭერემს კახელებმაც მოაშურეს,—ვინც ციხეს და გადასახლებას გადაურჩა, ვისაც ჯერ კიდევ ვერ დაეწია მთავარმართებელ ერმოლოვის ულმობელი ხელი. სწორედ ამ ხანში მოხდა ერთი საკვირველი ამბავი: ყველას მოულოდნელად ველისციხელი მღვდელი ჭერემს მოაშორეს და აქაურ სამწყსოს ახალი მოძღვარი გამოუგზავნეს. ამ გაუგებარ გამოცანას პასუხი მაშინღა მოეძებნა, როცა ერთხელ, გათენებისას, ჭერემში ცხენოსანი ჩაფრები ამოვიდნენ და ერთი ხანმოყრილი გლეხის თედო მაჩხაშვილის კარმიდამო იკითხეს. არ გასულა დიდი ხანი, მაჩხაშვილის სახლიდან ქალების მოთქმა და ბალღების ზრიალი მოისმა. კარის მეზობლებმა დაინახეს, როგორ გამოათრიეს ჩაფრებმა მოტიალებულ ეზოში ნაცემ-ნაგვემი კაცი, ხელ-ფეხზე ბორკილები დაადეს, უნაგირს დააკრეს და გზას გაუდგნენ.

და იმავე წუთში დაიგუგუნა დედო-ზარმა. მთელი ჭერემი ეკლესიის ეზოს მოაწყდა, სოფლის თავკაცებს ბევრი ბჭობა და ყოყმანი არ დაუწყიათ, იქვე გამოიძახეს საიმედო ბიჭები და ჩაფრებს კვალდაკვალ დაადევნეს, თანაც გააფრთხილეს, ის ბიჭი პოლიციას არ დაანებოთ, ოღონდ ეცადეთ, კაცის ცოდვა არ დაიდოთო...

მდევარმა პირნათლად შეასრულა სოფლის დანაბარები. ცოცხალ-მკვდარი მაჩხაშვილი გამოიხსნეს, ჩაფრებს კი ჩააგონეს, ამ სოფლის გზა სამუდამოდ დაივიწყეთ, თორემ მეორედ ასე უსისხლოდ ერთმანეთს აღარ დავშორდებითო...

მაჩხაშვილის ამბავმა არა ერთი და ორი კაცი შეაშფოთა ჭერემში. ამ გაზაფხულზე ორი აქაური მოსახლე,— ერთი იმერელი დურგალი და ერთიც კახელი მეწისქვილე თელავში დაიბარეს, მაზრის უფროსი გეძახითო... წავიდნენ და დაიკარგნენ, მათი ასავალ-დასავალი ძე-ხორციელმა ვერ გაიგო. რამდენჯერაც არ მიაკითხეს თელავს, პასუხი მუდამ ერთი იყო,— აქედან იმდღესვე წამოვიდნენ, იქნებ გზაში სადმე ლეკებს გადაეყარნენ და ტყვედ ჩავარდნენო.

ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავდა. ჯერ კიდევ პატარა კახი გულმოკლული ამბობდა, ლეკთა გაალაგეს საქართველოო...

ერმოლოვის დროსაც ლეკის ნაიბები ძველებურად არბევდნენ კახეთის სოფლებს: ამიტომ მაზრის მოხელის ნათქვამი სიტყვა ჭერემელებმა ადვილად ირწმუნეს და ბედს შეურიგდნენ. მაგრამ როდესაც მაჩხაშვილმა ცოტა მოიკეთა და სული ჩაიდგა, დაუძახა თურმე ნიკა ჯაჭვაძის პაპას და საიდუმლოდ გაანდო, ჩვენმა მღვდელმა გამომჭრა ყელი, ნამდვილად იმან გამცაო...

— ენა დაიმოკლე, ბიჭო, მკრეხელობას ნუ დაიწყებ, თორემ მოძღვარს სიტყვა მიუვა და ხატზე გადაგცემს!— დაფეთდა ბერიკაცი.

— არა, ძმაო, შენ არ იცი, რა მოხდა! ყური დამიგდე!— მიუგო მაჩხაშვილმა:— სოფელში სულიერმა არ იცოდა, რომ მე ჩუმლაყში კაცის სისხლი დამედო! იმ დღეს ალექსანდრე ბატონიშვილის ამალაში ვიყავ. ძალად შემომაკლა თავი იმ უდღეურმა. სხვა გზა არ იყო, უნდა დამეკრა! იმ დღის მერე დავკარგე მოსვენება! დავწვებოდი, ავდგებოდი, — გარჩევა არ იყო, სულ მისი სახე მელანდებოდა და ჩემი მთავარი სული მიჰქონდა... და მეც აღსარების დროს აღარ გადავფიცე, ყველაფერში გამოვუტყდი ჩვენს მღვდელს, იქნებ მამაზეციერმა ცოდვა-დანაშაული შემინდოს-მეთქი.

ბერიკაცს ხმა არ გაუღია. თავიდან ბოლომდე ჩუმად მოისმინა მაჩხაშვილის მეორე აღსარება, ასევე ჩუმად წამოდგა და მასპინძელს გამოეთხოვა.

ცოტა კი გაუკვირდა მაჩხაშვილს, რომ მისმა სიტყვამ თითქოს ვერავითარი გამოძახილი ვერ იპოვა მეგობრის გულში. არადა, სულიერი მოძღვრის ასეთი მუხანათობა ქვეყნის დაქცევას ჰგავდა.

„აღსარებას იმიტომ გეუბნები, რომ ჩემი სახვეწარი ღმერთს მიუტანო, შენ კი პოლიციაში მიგაქვს, შე სულწაწყმენდილო!"

რა იცოდა მაშინ მაჩხაშვილმა, თუ რა ცეცხლი წაჰკიდა ბერიკაცს მისმა ნათქვამმა. მაჩხაშვილის სახლიდან ნიკას პაპამ პირდაპირ იმ უკვალოდ დაკარგული ბიჭების ოჯახებს მიაშურა. წვრილად გამოჰკითხა ქალებს, იყვნენ თუ არა მათი სახლიკაცები აღსარებაზე სოფლის მღვდელთან.

— იყვნენ, ბატონო, როგორ არ იყვნენ! გახარებული დაბრუნდნენ ეკლესიიდან! რა გულმოწყალე ყოფილა ჩვენი მოძღვარი, ყველა ცოდვა შეგვინდო და წმინდა ზიარებაც მიგვაღებინაო...

ნიკას პაპამ კარგად იცოდა, რა ცოდვა-ბრალში იყვნენ გახვეულნი მისი მეზობლები. ისიც მათთან იყო იმ ღამეს, როდესაც კახეთის არეულობის მონაწილეებმა მანავში დაბანაკებულ კაზაკებს ცხენები მოსტაცეს, თავლას ცეცხლი წაუკიდეს და საუბედუროდ ერთი მანაველი კაცი მეჯინიბე იმსხვერპლეს, ღვინო-ნასვამს თივაზე მისძინებოდა, ჭერი თავზე ისე ჩამოემხო, ვაის დაძახებაც ვერ მოასწრო.

ცხენოსანი ჯარი უცხენოდ კი დატოვეს, მაგრამ ყველას სანანებლად დარჩა იმ ერთი ბეჩავი კაცის დაღუპვა. და მათაც უკვე არაფერი აღარ დაუმალეს სულიერ მოძღვარს...

— პოლიციის ჯაშუში ყოფილა ეგ ძაღლიშვილი! ამიტომ დაარბენინებდა თურმე ხალხს ზიარებაზე!— დაასკვნა ბერიკაცმა და მთელი სოფელი გააფრთხილა, ამიერიდან ევლოგის ოლარს ახლო არ გაეკაროთო.

მღვდელი მიხვდა, რომ მისი ბნელი საქმეები სამზეოზე გამოიტანეს. მეორე დღესვე გუდა-ნაბადი აიკრა და ჭერემს სამუდამოდ გამოეთხოვა.

ასე ჭაპან-წყვეტაში, ომსა და ბრძოლაში შენდებოდა სოფელი ჭერემი, — კახეთის ეს პატარა ლამაზი მთიანეთი. საბედნიეროდ, ქვა და ქვიშა რამდენიც გინდა, იმდენი მოიპოვებოდა ახლომახლო ხევებში. ბლომად იყო გარჯას მოწყურებული მუშა-ხელიც და სახლი სახლს ემატებოდა, ორღობე—ორღობეს. სოფელმა გაშალა მხრები და პირველი მსოფლიო ომის წინ ჭერემში უკვე სამასამდე კომლი ცხოვრობდა.

როგორც უკვე ითქვა, ჭერემს შემოეხიზნენ არა მარტო უსამართლობასთან მებრძოლი გლეხები, არამედ აქა-იქ უკვე გამოერივნენ შორიდან გადმოხვეწილი ბედისმაძიებლები, იოლი ცხოვრების მოყვარულნი... ერთმა მევახშეობა დაიწყო, მეორემ თავისუფალი მიწა დაიჩემა და საზიაროდ გასცა. ვიღაც შორაპნელმა ხიზანმა კი დალალობას მიჰყო ხელი. ერთხელ კარის მეზობელს ძროხა მიჰყიდა, სოფლის მასწავლებელს ალაზან-გაღმიდან ცხენი გამოუყვანა. მეორე კვირას ის მასწავლებელი ყვარლის გზაზე გააჩერეს და ცხენიდან ჩამოაგდეს... გამოირკვა, ცხენიცა და ძროხაც ნაქურდალი ყოფილიყო. მაშინვე შეჰყარეს სოფელი, შორაპნელი ხიზანი შეაჩვენეს და ჭერემიდან გააძევეს, სხვები კი გააფრთხილეს, ხარმა უღელში კვალის გამრუდება თუ დაიწყო, მისი ნახნავი მიწას ბარაქას ვერ მოჰკიდებს, დანარჩენი თქვენ იფიქრეთ და იანგარიშეთო.

ქურდებსა და მრუშებს, კაცი იქნებოდა თუ ქალი, სოფელში არ გააჩერებდნენ, თუნდაც ისინი დიდად პატივსაცემი ოჯახის შვილები ყოფილიყვნენ.

ასეთმა დაუზოგველმა, არადამთმობმა განაჩენმა (ვერც ღმერთთან და ვერც კაცთან რომ ვერ გაასაჩივრებ) თანდათან დაწმინდა მღვრიე ნაკადი და სოფელი ერთპირად შეჰკრა. იცოდა ჭერემმა სირცხვილ-ნამუსი, იცოდა ჭირში გატანა და ლხინში— ხმის აწყობა.

და რაკიღა კალამს სიტყვა გატანა წამოსცდა, მაშინ ერთი არც ისე ძველი ამბავი უნდა გავიხსენო. ყველა საქებარ სიტყვაზე უფრო მკაფიოდ იგი დახატავს სოფელ ჭერემის ზნეკეთილობას.

გურჯაანში, ახტალის ხევის პირას, ნატო ვაჩნაძის მამის ნამოსახლარზე, შალიკაანთ გორაზე, მოსჩანს ახლადაგებული ერთსართულიანი შენობა. გარეგნულად იგი მაინცა და მაინც არ გამოირჩევა მეზობლად მდებარე შენობებისაგან, მაგრამ თუ ერთხელ შეაღე მისი კარი და შეიხედე ოთახებში, მერე იქიდან გამოსვლა აღარ მოგინდება.

საქართველოს ულამაზესი ქალაქის, გურჯაანის და მისი შემოგარენის დიდი წარსულის ამბებს მოგვითხრობენ ამ დაკრიალებულ დარბაზებში გამოფენილი ქვის ხანის სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სამკაულები, ავგაროზები, ბრინჯაოს ხანის ჭურჭელი და საომარი საჭურველი.

გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ეპოქები სწრაფად ენაცვლებიან ერთიმეორეს. ფეოდალური ხანა, ჯაჭვის პერანგის ნაფლეთები და ნახმლევი ჩაჩქანი... რევოლუციის დარბაზში სამი ოთახი ეთმობა გურჯაანის რაიონში სოციალისტური მშენებლობის ამსახველ მასალებს, აქვე არიან სამამულო ომის გმირები, მათი დედები და მამები, საომარი საგზალი რომ არ მოაკლეს თავიანთ შვილებს.

რა სიყვარული, ცოდნა, გატაცება და მონდომება იყო საჭირო, რომ ამ პატარა კოლექტივის მეთაურს მიხეილ უზუნაშვილს და ფონდების მცველს ზეზვა ბეზარაშვილს ასე ლამაზად გაემართა და გაეწყო ჩვენი ხალხის უკვდავების სახსოვარი.

ამ მუზეუმში ინახება არა ერთი და ორი გამოუქვეყნებელი წერილი თუ მოგონება იმ დაუვიწყარ დღეებზე, წინ რომ უსწრებდა ახალი საქართველოს დაბადებას.

დიდი ამაგი დასდო ამ საშვილიშვილო საქმეს თელაველმა მასწავლებელმა მიხეილ ცაკაშვილმა. რამდენი მოგონება, თქმულება და გადმოცემა ჩაუწერია ამ გატაცებულ კაცს, რომ უამბოდ და უსაფლავოდ არ დაკარგულიყო მათი სახელი, ვინც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანდაუხეველად, შეურიგებლად ებრძოდა უსამართლობას.

ამ მასალების გადაკითხვამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა: ჩვენმა მკითხველმა ბევრი რამ არ იცის იმ ჭირ-ვარამზე, რაც კახელ გლეხკაცს თავს დაატყდა მენშევიკების ბატონობის წლებში.

ამჯერად ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთი მუკუზნელი მონადირის თავგადასავალმა.

**აი მისი მოკლე ანკეტა**

გვარი — იაშვილი
სახელი — მიხეილი
მამის სახელი — ნიკოლოზი
დაბადების წელი — 1889
სოციალური წარმოშობა — ღარიბი გლეხი
საქმიანობა — ამჟამად მე-6 ქვეითი პოლკის ჯარისკაცი

მიხეილ იაშვილი დახვრიტეს 1920 წელს ლაგოდეხში შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის გამო.

გავყევი ამ ძუნწი ანკეტის კვალს და, რაც ნაკვალევმა მიამბო, აი ამ ნოველაში მოვაქციე.

### თავი მეორე

## უშიშარნი, ვითა უხორცო...

აჯანყება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო საქართველოს ყველა კუთხეში. გულდაგულ ემზადებოდნენ. გაბედული და პარტიის სიმართლეში დაჯერებული ადამიანები ჩაუდგნენ სათავეში კარგად შეიარაღებულ რაზმებს.

სამხედრო-რევოლუციურმა შტაბმა თითქოს ყველაფერი გაითვალისწინა, ყველაფერი აწონ-დაწონა... და მაინც ციხე შიგნიდან გატყდა: გამოჩნდა ერთი იუდა, და იქვე გაჩნდნენ სპირიდონ კედიას განსაკუთრებული რაზმის მებრძოლები, აჯანყებას თავი მოკვეთეს, მთელი სამხედრო შტაბი უკლებლივ დააპატიმრეს. ახლა მთავარი სადარდელი და საზრუნავი მხოლოდ ის იყო, რომ პარტიის სამხარეო კომიტეტს ქალაქად და სოფლად შიკრიკები დაეგზავნა, — აჯანყება გადაიდო და ბრძოლა არ დაიწყოთო...

კახეთში გაგზავნეს გამოცდილი და გულადი მეამბოხე გიორგი მირიანაშვილი. ერთი კაცი ათად გაიჭრა და თითქმის ყველგან მიაწვდინა ხმა, ყველას გააგებინა იმ საბედისწერო ღამის ამბავი.

როგორც თვითონ გიორგი მირიანაშვილი გვიამბობს თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში, მან მოასწრო და გააფრთხილა შეთქმულების მონაწილენი: საგარეჯოს სადგურში — სიკო გოგიშვილი, კაჭრეთში — ნიკო მაზანაშვილი, გურჯაანში — გიორგი გულვერდაშვილი, კოლა როსტოშვილი და ლევან ჯავახიშვილი, ველისციხეში — იოსებ ჩეკურიშვილი; ხოლო თელავში რაზმის მეთაურის სახელზე წერილი გაატანა ველისციხელ სანდრო ღაღაშვილს.

ვერ მოასწრეს ლაგოდეხის გაფრთხილება, თუმცა ამ უშიშარმა კაცმა იმავე ღამეს სიღნაღიდან დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა ლაგოდეხელებს, თამარის ქორწილი გადაიდო, არ ჩამოხვიდეთო...

დეპეშა! სხვა გზა არ იყო, სხვა ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა უკვე დაძრულ ტალღას. მაგრამ ფოსტის მოხელემ დიდხანს ატრიალა ხელში ასე უჟამოდ და უდროოდ მოტანილი დეპეშა, თანაც დეპეშის მომტანი კაციც არ მოუვიდა თვალში, და სანამ ვიღაცას არ შეეკითხა, რა ვქნაო, ამ ხუთი სიტყვის გადაცემა ვერ გაბედა.

გახარებული, დაიმედებული მიაბიჯებდა გიორგი ქალაქის ბაღისაკენ, რომ უეცრად თვალი მოატანა — ალაზან-გაღმა, — კავკასიონის მთის ძირში ვეება კოცონი აბრიალდა. მწარედ შემოჰკვნესა გულმა. ეს ცეცხლი იმის მაუწყებელი იყო, რომ დეპეშამ დაიგვიანა და ლაგოდეხის მშრომელები აჯანყდნენ. და როგორც ძველად იცოდნენ, ნიშანი მისცეს მთავარ ბანაკს, ბრძოლა დავიწყეთო. სიღნაღში კი იმ ღამეს საპასუხო ცეცხლი არ დანთებულა.

მთელი ლაგოდეხი, — ყველა სახელმწიფო დაწესებულება, უკვე აჯანყებულთა ხელში იყო, როდესაც მეკავშირე მიქაძე ტელეფონს მივარდა და სიღნაღი გამოიძახა.

სიღნაღმა მაშინვე უპასუხა:

— რა გნებავთ?

— როგორ მიდის თქვენი საქმე? ხომ არაფერი გიჭირთ?

— რა უნდა გვიჭირდეს! რომელი ლაპარაკობ, კაცო?

— მაშ ცეცხლი რატომ არ დაანთეთ ციხის თავზე?!

— ცეცხლი შენ და დარდუბალა! ერთი მეცა მკითხე, ვარ თუ არა ხუმრობის გუნებაზე! მითხარი, რა გინდა?

— როგორ თუ რა მინდა! დაიწყო?

— რა დაიწყო, ბიჭო, ვინ ოხერი ხარ?

მიქაძემ ყურმილი მაშინვე ორკაპზე დადო. არ იყო ძნელი მისახვედრი, რომ სიღნაღში ყველაფერი ისევ ძველებურად იყო დარჩენილი.

ლაგოდეხში კი გავარდა პირველი თოფი თუ არა, მეექვსე პოლკის დიდი ნაწილი აჯანყებულებს შეუერთდა და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ რაიონის ხელისუფლებას სათავეში მოექცნენ.

ტყუილად კი არ მოსთქვამდა მენშევიკების გაზეთი ჯერ კიდევ 1918 წელს, რომ „საუბედუროდ ქართველმა ჯარმა არა თუ არ გაამართლა იმედი, ყოველ მოლოდინსაც გადააჭარბა, საშინელი არევ-დარევა და უწესობა შეიტანეს ისედაც აფორიაქებულ ცხოვრებაში. (გაზეთი „ალიონი", 1918 წ. № 7).

ჯარი თავიდანვე გადაუდგა ნოე ჟორდანიას მთავრობას, მაგრამ ჯუღელის გვარდიელები გააფთრებული იცავდნენ „დამოუკიდებელ საქართველოს". ასე მოხდა ლაგოდეხშიც. გვარდიელები სასტიკად გაუსწორდნენ მარტოდ დარჩენილ მეამბოხეებს და ხალხის მხარეზე გადასულ ჯარისკაცებს.

თბილისიდან სასწრაფოდ გამოძახებულმა დამსჯელმა რაზმებმა ალყაში მოაქციეს მთელი ლაგოდეხი, მაგრამ სახელდახელოდ ჩამოყრილმა გვარდიელებმა ვერ ამოქოლეს ყველა გასაძრომ-გამოსაძრომი და აჯანყების ბევრმა მონაწილემ მოასწრო უკანდახევა. ისინი ახლო-მახლო ტყეებში გაიხიზნენ და ბრძანების თანახმად, სამალავებში გაყუჩდნენ.

სწორედ იმ დღეებში დაუახლოვდა მიხეილ იაშვილი მეტსახელად — მიხოზელას ბიჭი, ტყეში გახიზნულ ჯარისკაცებს. და სწორედ იმ დღეებში მოუხშირა მან სანადიროდ სიარულს. უკვირდა სოფელს, რა დროს ნადირობა იყო, როდესაც იაშვილს ნახევარი მინდორი ისევ მოუხვნელი ჰქონდა, გუთნის ჯერიც მისი იყო, იგი კი სადღაც ტყე-ღრეში დაეხეტებოდა...

მაგრამ ვინ იცოდა მისი ნადირობის საიდუმლოება!

დამარცხებული მეამბოხეების ერთი პატარა ჯგუფი, — უნტერ-ოფიცერი ნიკო ნაცვლიშვილი და სამი ჯარისკაცი, ალაზნის პირას ფშაველების ნაბინავარში იმალებოდნენ. გვარდიელები საგანგებოდ დაეძებდნენ ნაცვლიშვილის ჯგუფს. დაიწყო თუ არა ლაგოდეხის აჯანყება, ისინი პირველი შეიჭრნენ თოფ-იარაღის საწყობში და ტყვია დასცეს მესამე ასეულის მეთაურს კაპიტან ირაკლი გამყრელიძეს.

სამალავიდან იშვიათად გამოდიოდნენ. და თუ არა მუკუზნელი მონადირე, მათი საქმე ცუდად წავიდოდა. კვირაში ორჯერ ჩააკითხავდა მიხეილ იაშვილი ცისანაბარად დარჩენილ ჯარისკაცებს, დაუტოვებდა ნანადირევს, — კურდღელს, ხოხობს, ტყის ქათამს, ტახის ხორცს. მოუტანდა ქვეყნის ამბავს და თვითონაც ამ ნაბინავარში სწავლობდა რევოლუციის ანბანს, და როგორც თელაველი მასწავლებელი მიხეილ ცაკაშვილი მოგვითხრობს თავის წერილში „დაეცა სამშობლოსათვის", — იაშვილმა უკვე დაიწყო ველისციხეში, მირიანაანთ ვენახებში გამართულ ფარულ კრებებზე მენშევიკების მხილება. იგი გაბედულად მოუწოდებდა კახელ გლეხებს, ყურებს ნუ ჩამოვყრით, ნუ დავღონდებით, ახალი აჯანყებისათვის ვემზადოთ...

და როდესაც 1920 წელს მიხოზელას ბიჭი ჯარში წაიყვანეს, იგი უკვე მტკიცე, შეურყეველი ბოლშევიკი იყო.

იგივე მიხეილ ცაკაშვილი გვიამბობს:

„იაშვილი კარგად ხვდებოდა ბოლშევიკების სიმართლეს, გაბედულად დაუჭირა მხარი პარტიას და ჯარისკაცებში იწყო გამოსვლა".



მხატვარი თ. ხუციშვილი.

...იმ ღამეს იაშვილი და ერთი ლაგოდეხელი ბიჭი ზალიკო გელაშვილი ყარაულში ერთად მოხვდნენ. ზალიკოს არაერთხელ გაეგონა მიხეილ იაშვილის სიტყვა ჯარისკაცების ფარულ შეკრებაზე. გაცნობის დღიდანვე გული მასთან ჩამოუხტა, მაგრამ ნაჩუმარი მაინც ვერ გაანდო, მიხოზელას ბიჭს ოფიცრები ამრეზილად უყურებდნენ და მასთან ჩუმათობა ცოტა სახიფათო საქმე იყო. იმ ღამეს კი, ყარაულში თავი რომ დაიმარტოხელეს, ზალიკომ გაბედა და გული გადაუშალა უფროს ამხანაგს:

— ტიტიკო ხაჩიაშვილს იცნობ? ნაძოვარას ბიჭს რომ ეძახიან? — ჰკითხა გელაშვილმა.

— ლაგოდეხის მილიციაში რომ მსახურობს?

— ჰო, იმაზე გეუბნები. ჩემი მთავარი სული იმან წაიღო! უნდა მოვკლა... ეს თოფიც დროისად მომცეს ხელში!

— ეგეთი რა დაგიშავა, ბიჭო?

— დამიგდე ყური და შენ თვითონ გაგვასამართლე!

ლაგოდეხელი მჭედელი ზალიკო გელაშვილი ამ გაზაფხულზე წაიყვანეს ჯარში. სანამ ჯარში წაიყვანდნენ, მოხდა ერთი ამბავი, რამაც გული მოუკლა ახალგაზრდა მჭედელს და სამუდამოდ შეაძულა ამა ქვეყნის ზედამდგომელნი და უფლების მქონენი.

მჭედელს ერთი ჩალის ფერი ცხენი ჰყავდა, ფოთოლას ეძახდა, სიცოცხლეს ურჩევნოდა. სამჯერ იყო ალავერდობაზე ზალიკო გელაშვილი, — სამივე დოღის პირველი ჯილდო — ნაბადი, ქამარ-ხანჯალი და თეთრი თივთიკის ყაბალახი დღესაც ამშვენებს მისი სახლის კედელზე ჩამოკიდებულ ფარდაგს.

ამ დაუჯაბნელ ბედაურს ორთვალაში შესაბმელად როგორ გაიმეტებდა მჭედელი, ან საპალნეს როგორ აჰკიდებდა!

არადა, ქურაზე ნახშირიც უნდა მოეტანა, საფქვავი წისქვილში უნდა წაეღო, ტყიდან სათონე ფიჩხი უნდა გამოეზიდა...

ოღონდ ცხენი [illegible] მჭედელს ყველაფერი თავისი ხელით, თავისი ზურგით [illegible].

სწორედ [illegible] ლაგოდეხის მილიციის უფროსის მოადგილეს ტიტიკო ხაჩიაშვილს, მეტსახელად ნაძოვარას ბიჭს რომ ეძახდნენ.

— შენ რა ცერებზე დადიხარ, ბიჭო, სად მიძვრები?! რომელი ვაჩნაძე და ჩოლოყაშვილი შენა მყევხარ, რომ მაგ ცხენს ცივ ნიავს არ აკარებ! — უთხრა ერთხელ მჭედელს და როდესაც ცხენების მობილიზაცია გამოცხადდა, პირველი უწყება გელაშვილს მიუტანეს სამჭედლოში.

წაიყვანეს ფოთოლა.

იქნებ მჭედელს როგორმე გადაეტანა ეს დიდი საწუხარი, მაგრამ ერთი კვირის თავზე, როდესაც ახლად გაწვეულ ჯარისკაცებს მაწიმის მინდორზე ამეცადინებდნენ, ტყისპირას ცხენოსანმა მილიციელებმა ჩაიარეს, ზალიკოს კინაღამ გული გაუჩერდა. ნაძოვარას ბიჭი მის ფოთოლას მოათამაშებდა.

ავარდა და დავარდა მჭედელი, ვიღას არ შესჩივლა, მომეშველეთო, მაგრამ სწორედ იმ ხანებში მისმა ოცეულმა ყარაული შეცვალა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე და გულზე ცეცხლმოკიდებული ზალიკოც კარგახანს დაემშვიდობა ლაგოდეხს.

— არა, ზალიკო, — უთხრა იაშვილმა, როდესაც მისი აღსარება მოისმინა; — ერთი ტყვია სამგლეს ვერ ამოაგდებს! შენც წაგებული დარჩები და საერთო საქმესაც გამოაკლდები. ბოლშევიკები ტერორისა და პირადი შურისძიების გზას ვერ გაჰყვებიან. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მთელი ხალხი ერთპირად წამოვშალოთ, მაშინ აჯანყებას წინ ვერაფერი დაუდგება!

ის ღამე საუბარში გაათენეს. ძლივს დააჯერა იაშვილმა გამწარებული ბიჭი, რომ შურისძიება გულიდან ამოეღო და ხაჩიაშვილის სახელზე ჩანიშნული ტყვია სხვა დღისათვის შემოენახა.

რომელი დღისათვის?

— როცა საერთო იერიში დაიწყება, ჩემო ზალიკო. ახლა კი, აგერ ჩემი მათარა და წყაროზე ჩაირბინე, პირზე წყალი თუ არ შევისხი, წამიღო ძილმა და ის არის! — უთხრა იაშვილმა და ქამრიდან მათარა მოიხსნა.

მაისის დამლევს, როცა მეთერთმეტე წითელი არმია საქართველოს საზღვარს მოუახლოვდა, მენშევიკურმა მთავრობამ გადასწყვიტა, მეექვსე პოლკი ლაგოდეხიდან სასწრაფოდ აეყარა და ზაქათალაში გაეგზავნა. თანაც ხმა დააგდეს, — მთისა და ჭარბელაქნის ლეკები შეერთებულან და კახეთის ასაოხრებლად მოდიანო.

ვინ-ვინ და კახელებმა კი იცოდნენ, რა უბედურება მოჰქონდა ლეკთა თარეშების გამოჩენას ალაზნის გაღმა-გამოღმა.

მენშევიკების ნაფიცი ვექილები ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვიროდნენ, რომ ლეკები არა მარტო კახეთს, მთელი საქართველოს მიწა-წყალს პარტახად აქცევენო.

პირველ ხანებში ამ ხმამ მთელი ქვეყანა შესძრა. ლაგოდეხის ერობას მოხალისეები მოაწყდნენ, მოგვეცით იარაღი, რომ ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტერს გზა გადავუღობოთო.

ჯარიც ფეხზე დადგა. დაიწყო საზღვრების გამაგრება. ლაგოდეხი და მისი შემოგარენი მიუვალ ციხე-სიმაგრედ უნდა ქცეულიყო, მაგრამ ჯარის კომუნისტებმა მალე აუხილეს თვალი მოტყუებულ თანამებრძოლებს. — ლეკები კი არა, ჩვენი ძმები წითელარმიელები მოეშურებიან ქართველი ხალხის დასახმარებლად, რომ მენშევიკების ძალადობას სამუდამოდ ბოლო მოეღოსო.

მენშევიკებს მხარში ამოუდგნენ ზაქათალის ოლქის ხანები, ბეგები და აღალარები. ისინი გამოექცნენ განახლებულ აზერბაიჯანს და საქართველოს შეეხიზნენ. ხელშეკრულების თანახმად, დაუყოვნებლივ მოსთხოვეს ჟორდანიას მთავრობას, რომ ზაქათალაში ქართული ჯარი შესულიყო და იქაური საბჭოთა წესწყობილება დაემხო.

ლაგოდეხში დაბანაკებული მეექვსე პოლკის მეთაური პოლკოვნიკი თავაძე დარწმუნებული იყო, რომ მისი ჯარისკაცები და ჯუღელის გვარდიელები ადვილად წამოეგებოდნენ „ლეკების ანკესზე".

მეთაურებმა კარგახანს ვერ შეამჩნიეს, რომ ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები, — მიხეილ იაშვილი, დავით ბურდული, ძმები მაისურაძეები, იოსებ ყაზახაშვილი, გიგა მესაბლიშვილი, სოსო ნახუცრიშვილი, ბაზერაშვილი, მეგუთნიშვილი გულხელდაკრეფილი არ ისხდნენ ყაზარმაში. ისინი უშიშრად ასრულებდნენ უწმინდეს პარტიულ დავალებას: გაეგო და შეეცნო ჯარისკაცს, ვინ იყო მტერი და ვინ — მოყვარე.

გათენდა 30 მაისის დილა. გამგზავრების ბუკმა და ნაღარამ ჯარი წამოშალა თუ არა, მიხეილ იაშვილი პირველი ავარდა სადარაჯო ჯიხურის სახურავზე, თოფი დაჰქუხა და ამხანაგებს გადასძახა:

— ბიჭებო, ფიცი დავდოთ, რომ არცერთი ჩვენგანი ტყვიას არ ესვრის წითელარმიელს! თუ კაცნი ვართ, ბოლომდე ვიყვნეთ, თუ არა და, რად გვინდა ასეთი სიცოცხლე!

— წითელარმიელები ჩვენი ძმებია! — იგრიალა იარაღასხმულმა პირველმა ასეულმა.

დაიწყო აჯანყება.

პირველი ასეულის მეთაური კაპიტანი ქარცივაძე და მისი მოადგილე ქერელაშვილი იმ წამსვე განაიარაღეს და ყარაული მიუჩინეს, რომ ყაზარმის ეზოდან არსად გასულიყვნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი", № 208.

## ეცნობიან რესპუბლიკას

[illegible] მოკლე დროში ხარისხიანად შეასრულეს ყველა სამუშაო. მოსწავლეებმა აღმზრდელებს, საპატიო სტუმრებს აღუთქვეს, რომ ამ ღვაწლს, ამ შრომას ისინი უკეთესი სწავლით და კარგი ყოფაქცევით უპასუხებენ.

ვლ. მჭედლიშვილი.

## პოემა „მცირე მიწა“

[illegible]

## კურორტს შეემატა

[illegible]

## ამინდის სახლი

[illegible]



ძველი და ახალი თბილისის მოტივები.

ხ. კილაძის ფოტო.

# ჩვენი ბუნების მარგალიტები

### მღვიმეთმცოდნეობა საქართველოში

საქართველოს — მღვიმე-უფსკრულებითა და გამოქვაბულებით ერთ-ერთ უმდიდრეს კუთხეს დედამიწის ზურგზე — სავსებით ობიექტურად დიდ სპელეოლოგიურ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, კარსტვადი (წყალში შედარებით ადვილად ხსნადი) ქანები, რომლებშიც მღვიმე-უფსკრულები ყალიბდება, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობს — 12-13 პროცენტს მოიცავს.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში კავკასიონის სამხრეთ კალთის მიწისქვეშა სამყაროს შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტს, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს. ამ გამოკვლევების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი ის არის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა და წარმატებით ვითარდება ფრიად პერსპექტიული და ჭეშმარიტად წარმტაცი სამეცნიერო დარგი — მღვიმეთმცოდნეობა. მღვიმე-უფსკრულების კვლევას დიდ თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს მათი ფართო გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საჭიროებისათვის: მღვიმეები — საუკეთესო სასმელი წყლის სათავსები, მღვიმეები — სამკურნალო კლინიკები და პროფილაქტორიუმები, მღვიმეები — ბუნებრივი ბაროკამერები და მაცივრები, მღვიმეები — ტურიზმის შესანიშნავი ობიექტები და სხვ. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამ ბოლო დროს მღვიმეთმცოდნეობამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მოწინავე სამეცნიერო დისციპლინების გვერდით.

არასრული ცნობებით, საქართველოში დღეისათვის აღრიცხული და ნაწილობრივ შესწავლილი 600-ზე მეტი მღვიმე-უფსკრულიდან მნიშვნელოვანი ნაწილი სრულებით ახალი გეოგრაფიული ობიექტებია. მათგან ახალი ათონის მღვიმისა და „თოვლიანი“ უფსკრულის დასახელებაც კმარა.

როგორც ცნობილია, ახალი ათონის მღვიმე ექსკურსანტებისათვის 1975 წლის 4 ივლისს გაიხსნა და დღემდე 4 მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. წლის განმავლობაში დამთვალიერებელთა რიცხვით (საშუალოდ 700.000 კაცამდე), იგი მსოფლიოში ყველა კეთილმოწყობილი მღვიმის (800-ზე მეტი) სათავეში მოექცა, მათ შორის უკან ჩამოიტოვა ისეთი პოპულარული ძეგლები, როგორიც არის მამონტის მღვიმე ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოსტოინა — იუგოსლავიაში, აკიოში — იაპონიაში და სხვ. აღტაცებასა და დიდ სიხარულთან ერთად, რომელსაც ეს მღვიმე ანიჭებს მილიონობით მნახველს, იგი ფრიად რენტაბელური „საწარმოც“ არის.

გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ახლა ჩვენს პლანეტაზე, თუკი სადმე სენსაციური სპელეოლოგიური აღმოჩენებია მოსალოდნელი, ეს უპირველეს ყოვლისა საქართველოზე ითქმის. თქმა არ უნდა, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ქართველმა მკვლევარებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულეს, რასაც თვალსაჩინო შედეგებიც მოჰყვა. მაგრამ, რაც გაკეთდა, რასაც მივაღწიეთ, პირველი სერიოზული ნაბიჯებია დიდი სპელეოლოგიური აღმოჩენების გზაზე. როცა საქართველოს დიდ სპელეოლოგიურ შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მსოფლიოში უნიკალური კარსტული მასივების — ბზიფის, გაგრის, ოხაჩქუის, ასხის და სხვათა ხელუხლებელი წიაღი, მჭიშთას, რეჩხის, წაჩხურის და სხვების, მიწისქვეშა წყალუხვმდინარეთა აუზები, სადაც დღემდე ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. რამდენ აღმოჩენასა და სიხარულს გვპირდებიან ისინი!

ამ მხრივ საგანგებოდ უნდა შევეხოთ ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ ფრიად პერსპექტიულ მიწისქვეშა ძეგლს — მჭიშთას (გუდაუთის რაიონი), რომელიც სოხუმ-სოჭის ცენტრალური მაგისტრალიდან სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს. მეცნიერულ პროგნოზზე დაყრდნობით, აღნიშნული მიწისქვეშა მდინარის აუზში ერთი გენერაციის მქონე სულ მცირე 100 კილომეტრიან მღვიმეთა სისტემის არსებობას მოველით. მაგრამ მიწისქვეშა „პროსპექტებისა“ და დარბაზებისაკენ მიმავალი შესასვლელები თუ ჩასასვლელები საიმედოდ არის „ჩარაზული“ წყალუხვი მიწისქვეშა მდინარის გამოსასვლელებით ან ადამიანისათვის მიუწვდომელი ხვრელებით. ბუნებას „ეხერხება“ თავისი საიდუმლოების საგულდაგულო დაცვა. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში დამუშავდა მჭიშთას მიწისქვეშეთის ათვისების გეგმა, რასაც წლები დასჭირდება. გაისად მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით უკვე კომპლექსურად შეისწავლის მჭიშთას გამოსასვლელებს, რაც რეალურ წარმოდგენას შეგვიქმნის დღემდე უცნობი მიწისქვეშა სიცარიელეების გავრცელების პირობებზე, კვლევის შემდეგი ეტაპი ხელოვნური გვირაბის გაჭრას და ამ გზით მღვიმეში შეღწევას გულისხმობს ისევე, როგორც ეს გაკეთდა ახალი ათონისა და ევროპის მთელი რიგი ძეგლების ათვისებისას. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ფართო მეცნიერული გამოკვლევების გაშლა უშუალოდ მიწისქვეშ.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ მჭიშთას გეგმის ხორცშესასხმელად დახმარების საიმედო ხელი გამოგვიწოდა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ (თავმჯდომარე — გ. ჯოხთაბერიძე).

ბზიფის კირქვული ქედი, რომელიც დასაბამს აძლევს და ასაზრდოებს მჭიშთას უნიკალურ სისტემას, სპელეოლოგიურ საოცრებათა ნამდვილი სკივრია. ჩვენ წელსვე ერთი დიდი სენსაციის მოწმენი შეიძლება გავხდეთ: ბზიფის ქედის წიაღში მოსალოდნელია ჩვენი პლანეტის ულრმესი კარსტული უფსკრულის დალაშქვრა! სიტყვა „სენსაცია“ აქ ცოტა სხვა აზრით ვიხმარეთ, რადგან ქართველი მკვლევარები კავკასიონის მაღალმთიანი კარსტის ზოლში დიდი ხანია ვარაუდობენ ზეღრმა უფსკრულების არსებობას. ასე რომ, წარმატების შემთხვევაში სენსაციური იქნება მიწის წიაღში სარეკორდო ჩაღწევის თვით ფაქტი, და არა ჩაღწევის შესაძლებლობა. მაგრამ წელს ესეც რომ არ მოხდეს, „თოვლიანში“ უკვე მიღწეული სიღრმე — 1280 მეტრი (!) საერთაშორისო კლასის შედეგია. საქართველოს „თოვლიანი“ თამამად ამოუდგა გვერდში მსოფლიოში ისეთ სახელგანთქმულ ძეგლებს, როგორიც არის საფრანგეთში დალაშქრული პიერ-სენ-მარტენისა (სიღრმე 1332 მეტრი) და ჟან-ბერნარის (1298 მეტრი) უფსკრულები. დიახ, „თოვლიანს“ მსოფლიო რეკორდამდე მხოლოდ 55 მეტრი აშორებს, იგი პლანეტის მთავარი უფსკრული ხდება!

„თოვლიანი“ უხალისოდ და მძიმედ უხსნიდა გულს მკვლევარებს. ეს არც არის გასაკვირი. იგი ხომ დედამიწის ურთულესი კარსტული უფსკრულია, რომელიც გაოცებთ მრავალფეროვნებით, კონტრასტულობით, მასშტაბურობით. ვერტიკალური მონაკვეთები (ჭები და შახტები) მორიგეობს დახრილფსკერიან გვირაბებთან; ცალკეული ჭების სიღრმე 160 მეტრამდე აღწევს. 160 მეტრი ჩვეული საფეხური! ეს ხომ 60-სართულიანი სახლის სიმაღლეა!

„თოვლიანის“ აღმოჩენის ისტორია 1971 წლიდან იწყება, როცა ბზიფის ქედს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპელეოსპორტული ექსპედიცია ეწვია. სწორედ ამ ჯგუფმა ზღვის დონიდან 1950 მეტრ სიმაღლეზე მიაგნო თოვლითა და ფირნით ამოვსებულ ფართოპირიან ჭას, რომელსაც შემდეგში „თოვლიანი უფსკრული“ ეწოდა. მომდევნო წელს მოსკოველებმა დაწყებული სამუშაოები განაგრძეს. 1973 წლის მაისში ბზიფის ქედს კრასნოიარსკელები ესტუმრნენ, ხოლო ივლისში — მოსკოველები ტომსკელ და სვერდლოვსკელ სპელეოლოგებთან ერთად; 1974 წელს ბზიფის მასივი საკავშირო სპელეოექსპედიციის სარბიელი გახდა: მომდევნო წელს — კვლავ მოსკოველები, 1976 წელს — კრასნოიარსკელები, 1977 წელს კი — მოსკოველ სპელეოლოგთა რაზმი ა. მოროზოვისა და დ. უსიკოვის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ ჯგუფმა ყველაზე დიდი ღვაწლი დასდო „თოვლიანის“ კვლევას; 1977 წელს მან შეძლო 760, ხოლო, ერთი წლის შემდეგ 965 მეტრამდე ჩაღწევა!

შესანიშნავი წარმატება ხვდა ამავე ჯგუფის 1979 წლის ექსპედიციას, რომელმაც 36 დღე-ღამის იერიშის შემდეგ 1190-მეტრიან ზღურბლს მიაღწია. ეს იყო ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი მოვლენა: საბჭოთა სპელეოლოგიის ისტორიაში პირველად იქნა გადალახული სიღრმული ჩაღწევების 1-კილომეტრიანი ზღვარი; „თოვლიანი“ სსრ კავშირის ულრმესი უფსკრული გახდა, საქართველო დიდ სპელეოლოგიურ სარბიელზე გავიდა!

1979 წლის მიწურულსა და 1980 წლის დამდეგს აღნიშნული ჯგუფი დ. უსიკოვის ხელმძღვანელობით კვლავ ეწვია თოვლის ღრმა საბურველში გახვეულ ბზიფის ქედს. შესანიშნავად გაწვრთნილმა სპელეოჯგუფმა ამჯერად შესაშური ნებისყოფა და ამტანობა, მიზნისაკენ შეუპოვარი სწრაფვა გამოიჩინა. 60 დღე-ღამეზე (!) მეტ ხანს ებრძოდა ჯგუფი ხიფათით აღსავსე წყლიან ჯურღმულებს და ადრე მიღწეული შედეგი ერთბაშად 90 მეტრით გააუმჯობესა! 1280 მეტრ სიღრმეზე, ფართოპირიან უფსკრულში, რომელიც სადღაც მრუმე უსასრულობაში იკარგებოდა, ღრიანცელით ითქმებოდა მძლავრი ნაკადი. სულ რაღაც 56 მეტრი რჩებოდა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებამდე! დიდი იყო იერიშის გაგრძელების ცდუნება, შეიძლებოდა ორგანიზმის უკანასკნელი რესურსების მობილიზება და უცნობ ჩანჩქერში ჩაყვინთვა, მაგრამ ჯგუფმა ამჯერადაც შეჩერება ამჯობინა. ეს გონივრული გადაწყვეტილება იყო. ვისაც კარსტულ უფსკრულში „უმოგზაურია“, კარგად იცის, რომ უნდა იფიქრო არა მარტო ჩასვლაზე, არამედ უკან დაბრუნებაზეც. კოლოსალურ ფიზიკურ ძალასა და ენერგიის ხარჯავს სპელეოლოგი ენით ადვილად სათქმელ ჩასვლა-ამოსვლის პროცესში! ახლა დიდი ემოციური დაძაბულობა, რომელსაც იგი ყოველ ნაბიჯზე განიცდის! მაღალმთიან მღვიმეებში, სწორედ ისეთში, როგორიც „თოვლიანია“, მაინც ყველაზე საშიში სიცივეა. „თოვლიანის“ ზედა ნაწილში, ე. წ. „დიდ დარბაზამდე“, ჰაერის ტემპერატურა 0 გრადუსია, უფრო ღრმად, სადაც ფირნი და ყინულები აღარ გვხვდება — 2,5, — 3,5 გრადუსი. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 100 პროცენტს, ხოლო წყლის ტემპერატურა — 4,5 გრადუსს შეადგენს. მოძრაობის პროცესში ადამიანი ვერ გრძნობს, უფრო ზუსტად, მას არ აწუხებს მაღალტენიანი ცივი ჰაერი, მაგრამ იგი ძალიან შემაწუხებელია უძრაობის დროს. არის შემთხვევები, როცა სპელეოლოგები გადამეტცივების გამო გრძნობას კარგავენ ხოლმე.

„თოვლიანის“ მიკვლევა და ათვისება XX საუკუნის ჭეშმარიტად შესანიშნავ გეოგრაფიულ აღმოჩენებს განეკუთვნება. მასში ჩაღწევის თეორიული შესაძლებლობა ხომ 1800 მეტრამდე აღწევს, ეს კი მსოფლიო მასშტაბის უნიკალური ფაქტია.

„თოვლიანის“ შესწავლისას მკვლევარებს საშუალება ეძლევათ უშუალოდ დააკვირდნენ გიგანტურ ბუნებრივ გეოლოგიურ ჭრილს, დააზუსტონ ბზიფის კარსტული მასივის აღნაგობის თავისებურებანი. მაგალითად, არის ფრიად საინტერესო მოსაზრება, რომ „თოვლიანი“ და მჭიშთა ერთიანი ჰიდროგეოლოგიური სისტემის შემადგენელი ნაწილებია. თუ რამდენად სწორია ეს თვალსაზრისი, მომავალი გვიჩვენებს. ბზიფის მასივის ჰიდროგეოლოგიური კვლევა საინტერესოა მასში აკუმულირებული მტკნარი წყლის რესურსების ათვისების მიზნითაც.

მაგრამ საქართველოში მოსალოდნელია სხვა მსგავსი და, შესაძლოა, უკეთესი ძეგლების მიკვლევა. საქართველოს სამართლიანად უწოდებენ სპელეორესპუბლიკას. ამ მხრივ იგი, მართლაც, შეუდარებელია სსრ კავშირში! და განა შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ, რომ მღვიმე-უფსკრულების ქვეყანაში, უმაღლესი სასწავლებლების ბუნებისმეტყველების ფაკულტეტების სტუდენტებს — გეოგრაფებს, გეოლოგებს და სხვებს არ ვასწავლიდეთ მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლებს? სპელეოობიექტების სიუხვით და განსაკუთრებით კვლევის პერსპექტივებით საქართველო არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპისა და ამერიკის იმ ქვეყნებს, სადაც წარმატებით მუშაობენ სპელეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში — მღვიმეთმცოდნეობის კათედრები. ვინ უნდა შეისწავლოს საქართველოს უნიკალური მიწისქვეშეთი? სპელეოლოგ მეცნიერთა და სპორტსმენთა კადრის საჭიროება დღეს უკვე მწვავედ იგრძნობა.

განა ეკადრება შესანიშნავი ტრადიციების მქონე საქართველოს ალპურ კლუბს სპელეოლოგიური საქმეებისაგან სრული განდგომა და ზურგის შექცევა? რა გამოდის? ჩვენი შესანიშნავი მთამსვლელები კავკასიონზე თუ მის ფარგლებს გარეთ უმაღლესი სირთულის ტრავერსებს თუ სასიმაღლო ასვლებს ახდენენ, აქ კი, მათ მიწა-წყალზე, მხოლოდ მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენები იბრძვიან სიღრმული ჩაღწევების საკავშირო და მსოფლიო რეკორდებისთვის. განა საჩოთიროა მონაწილეობდე პლანეტის ულრმესი უფსკრულების კვლევაში? ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ „თოვლიანის“ დალაშქვრა ნაკლებ ოსტატობას, ამტანობასა და ვაჟკაცობას მოითხოვს, ვიდრე, ვთქვათ, თუნდაც პამირისა და კავკასიონის მწვერვალებზე ასვლა ან გათელილი ტრავერსების გამეორება?

დამაფიქრებელია ერთი გარემოებაც: საქართველოს კირქვულ მასივებზე ყოველწლიურად იზრდება ჩვენი ქვეყნის შორეული ქალაქებიდან ჩამოსული სპელეოლოგიური ექსპედიციების რიცხვი, მათ შორის ნაკლებად ვხედავთ მასპინძელთა საექსპედიციო რაზმებს.

რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად? დღევანდელ ეტაპზე ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლების გაძლიერებული კურსის სწავლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ბუნებისმეტყველების ფაკულტეტებზე. საჭიროდ მიგვაჩნია, მღვიმეთმცოდნეობის სპეციალიზაციის გახსნაზეც ვიფიქროთ. სათანადო კადრით უნდა შეივსოს და გაძლიერდეს ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორია. ფრიად საჭიროა, აღდგენილ იქნეს 1962 წელს გაუგებრობის გამო გაუქმებული სპელეოსპორტის რესპუბლიკური კომიტეტი (საზოგადოებრივ საწყისებზე), შეიქმნას სპელეოკლუბი, სპელეოსექციები უმაღლეს სასწავლებლებსა და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში.

ქართული მღვიმეთმცოდნეობა გაზრდილი და გართულებული ამოცანების წინაშე დგას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ღირსეულად დავძლიოთ ახალი ჰორიზონტები.

**ზ. ტინტილოზოვი,**
სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი.

## პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

# რა სვლა ჩაიწერეს თეთრებმა?

[illegible] რომელიც „გაფრინდაშვილის საქმეთა“ თვალსაჩინო მცოდნედ ითვლება. ამიტომ პარტიების წინ მოჭადრაკეები, ცხადია, ისმენენ ამ ექსპერტების შეგონებებს, ყოველ ახალ შეხვედრაში კორექტივი შეაქვთ ადრინდელი გამოცდილების საფუძველზე. პარტიებს ხომ თავიანთი „ფსიქოლოგიური ქვეტექსტები“ აქვს, რომლებიც გულშემატკივრისათვის შეუმჩნეველი რჩება, მაგრამ სპეციალისტის გამოცდილ თვალს არ შეიძლება გამოეპაროს.

როდესაც მეოთხე პარტიაში იოსელიანმა ისევ ახალინდურ დაცვას მიმართა, მან, ცხადია გაითვალისწინა მეორე პარტიის გაკვეთილი, რომლის ბედი, ფაქტობრივად, დებიუტმა გადაწყვიტა. ნანამ ამჯერად არ დაუშვა მეტოქის პაიკებით გარღვევა ცენტრში და ადრინდელთან შედარებით უფრო მტკიცე პოზიცია მიიღო. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამჯერად გაფრინდაშვილიც ახლებურად თამაშობდა. მისი ფიგურები, თითქოს რაღაც გრაფიკს იცავენო, „დაბარებულებივით“ ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე აღმოჩნდნენ. ამ მომენტისათვის წონას ორივე მწვრთნელი, ეტყობა, ძალიან კმაყოფილი იყო. მაგრამ მალე პრესცენტრში ყველაფერი ამოძრავდა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი შეცდა და ინიციატივა შავების მხარეზე გადავიდა: უფრო მეტიც, [illegible] ხოტში (ციტნოტი იმისა, რომ მოჭადრაკეებს ზოგჯერ ლოგიკური თამაშის საშუალებას არ აძლევს) იოსელიანმა განაპირა პაიკი მოიგო. გადადებული პოზიცია, თუმცა თეთრების სასარგებლოდ უნდა შეფასდეს, საკმარისად მწვავეა. ახლა პრეტენდენტებთან ერთად სიტყვა მწვრთნელებსაც ეკუთვნით. ამ გადადებულ პოზიციაში ხომ ათასგვარი ნიუანსია გასათვალისწინებელი, რომელთა მონახვასაც, იმედია, მკითხველებიც შეეცდებიან. შეგახსენებთ, რომ ჩაწერილია გაფრინდაშვილის სვლა.

გ. გამრეკელი.

გაფრინდაშვილი — იოსელიანი

მეოთხე პარტია



# ყაიმი არ ისურვა

მცირე შესვენების შემდეგ განახლდა ბრძოლა ვილნიუსში. თეორიის უკანასკნელი მონაცემებით, ახალინდური დაცვა შავებს მყარ თავდაცვითს პოზიციას აძლევს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მას ბევრი მოყვარული გამოუჩნდა და, მათ შორის, ლიტინსკაიაც.

დებიუტის შედეგად თეთრებით მოთამაშე ალექსანდრიას რაიმე უპირატესობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ამის მიუხედავად, ქართველი მოჭადრაკე შეუპოვრად განაგრძობდა თამაშს მოგებისათვის. მეოცე სვლაზე გაიცვალა ლაზიერები, პოზიცია გარეგნულად მშვიდ ხასიათს ატარებდა, მაგრამ სინამდვილეში მასში ბევრი „ნაღმი“ იდო. მეტოქეებმა მეფეები დასძრეს ცენტრისაკენ. ორივე პრეტენდენტი დროის ნაკლებობას განიცდიდა. ლიტინსკაიამ მეტოქეს აგრძნობინა, რომ ყაიმის წინააღმდეგი არ იყო — დაიწყო სვლების განმეორება. ალექსანდრიამ დროის მოგების მიზნით ორჯერ გაიმეორა სვლები, მესამედ კი, ნურას უკაცრავად! იგი პოზიციის გამწვავებისაკენ მიისწრაფოდა და მიაღწია კიდეც მიზანს. ალექსანდრიამ წინ დაძრა პაიკები მეფის ფრთაზე და შეავიწროვა შავების განლაგება.

გადადებულ პოზიციაში ალექსანდრიას ერთგვარი უპირატესობა აქვს, თუმცა წინ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ლვოველი დიდოსტატი ინარჩუნებს მატერიალურ წონასწორობას და თავდაცვის საშუალებასაც:

ალექსანდრია — ლიტინსკაია

ახალინდური დაცვა

მეორე პარტია

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. a3 კa6 5. e3 c5 6. მc3 cd 7. მ:d4 კb7 8. მdb5 d6 9. კe2 a6 10. კf3 ლd7 11. მd4 კe7 12. 0-0 0-0 13. კd2 ეc8 14. ლe2 ლc7 15. ეfc1 კ:f3 16. ლ:f3 მbd7 17. b3 მc5 18. ეab1 ეab8 19. ეc2 ლb7 20. ლ:b7 ე:b7 21. f3 მfd7 22. e4 მფf8 23. ეa2 მe5 24. მფf1 მcd7 25. მფe2 კf6 26. მფe3 მc6 27. მ:c6 ე:c6 28. მe2 კg5+ 29. f4 კf6 30. კb4 მc5 31. ეd2 მფe8 32. მd4 ეc8 33. მf3 ეc6 34. მd4 ეc8 35. მf3 ეc6 36. g4 h6 37. მd4 ეc8 38. მf3 ეc6 39. h4 g6 40. g5 კg7.

აქ ჩაწერილია ალექსანდრიას სვლა. აი გადადებული პოზიციაც.



## ტაიმ-აუტი თბილისშიც, ვილნიუსშიც

გუშინ პრეტენდენტთა არცერთი პარტია არ გამართულა. თბილისში გაფრინდაშვილმა პირველად გამოიყენა ტაიმ-აუტის უფლება. ასევე მოიქცა ლიტინსკაია ვილნიუსშიც.

დღეს თბილისსა და ვილნიუსში უნდა დამთავრდეს გადადებული პარტიები.

# განაჩენი აღსრულებულია

სამი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების ერთდროულად სამი მუხლით ედებოდათ ბრალი გამოუსწორებელ დამნაშავეებს ა. სუთიძესა და ა. ანდრიასოვს. მათ დანაშაულებრივი ბანდა შექმნეს და ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. გორკში სუთიძე და ანდრიასოვი გაძარცვის მიზნით თავს დაესხნენ მოქალაქე ა. ს.-ს და მოკლეს იგი ცეცხლსასროლი იარაღით. ერევანში ბანდის სხვა წევრებთან ერთად ისინი შეიარაღებულნი დაესხნენ თავს ორი მოქალაქის ბინებს, საიდანაც გაიტანეს 30 ათას მანეთზე მეტი ღირებულების სხვადასხვა ფასეულობა. თბილისში ანდრიასოვი და მისი ამხანაგი ცეცხლსასროლი იარაღის მოტაცების მიზნით თავს დაესხნენ მილიციის მუშაკს. ბანდიტმა ახლო მანძილიდან ესროლა მილიციელს, და იგი მხოლოდ ბედად გადარჩა: ტყვიამ ქუდი გაუხვრიტა. მეორე დღეს ბანდიტებმა გატაცებული მანქანით გაძარცვა სასურსათო მაღაზიების გამყიდველები და ნავთლუღის ვაგზლის მებუფეტე. ხარკოვში ბანდის წევრები იარაღის დამუქრებით შეეცადნენ წაერთმიათ ორი მოქალაქისათვის ავტომანქანები, მაგრამ მილიციის მუშაკთა ჩარევამ ხელი შეუშალა ჩანაფიქრის განხორციელებაში. ბანდიტებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მილიციელებს, ქალაქის ცენტრში ატეხეს სროლა, რის შედეგადაც შემთხვევითი გამვლელი დაიჭრა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ა. სუთიძისა და ა. ანდრიასოვის საქმე და ისინი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე, სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულობებში და ორივეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განაჩენი უცვლელად დატოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ა. სუთიძისა და ი. ანდრიასოვის მიერ ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სისასტიკე და ის, რომ ისინი საშიში არიან საზოგადოებისათვის, და უარყო მსჯავრდადებულთა თხოვნა შეწყალების შესახებ.

განაჩენი აღსრულებულია. (საქინფორმი).

## ფეხბურთი

### პირველ ლიგაში

[illegible] გუნდებისათვის. ქუთაისის „ტორპედომ“ საკუთარ მოედანზე ანგარიშით 4:1 დაამარცხა კემეროვოს „კუზბასი“ (ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს კვერნაძემ, სვანაძემ და ფარულავამ — 2). ასევე დიდი ანგარიშით 3:0 ლანჩხუთის „გურიამ“ მოუგო მატჩი ხაბაროვსკის არმიელთა გუნდს (ბურთები გაიტანეს მეგრელაძემ — 2 და კოპალეიშვილმა).

ორჯონიკიძეში ადგილობრივ „სპარტაკთან“ დამარცხების შემდეგ (1:3) ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა სიმფეროპოლის „ტავრიამ“ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მისი ადგილი კი სატურნირო ცხრილში დაიკავა დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“, რომელმაც დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი“ (1:0). ლანჩხუთის „გურია“ და ქუთაისის „ტორპედო“ შესაბამისად მე-13-14 ადგილზე არიან. ჩემპიონატის დამთავრებამდე 14 ტურია დარჩენილი. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები 7-7 თამაშს საკუთარ მოედანზე გამართავენ და ამდენსავე შეხვედრაში სტუმრად ისპარეზებენ.

# საკავშირო ორბიტა

მძლეოსნობა. დონეცკში მიმდინარე მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში გუშინ და გუშინწინ გათამაშდა მედლების კიდევ ჩვიდმეტი კომპლექტი. წარმოგიდგენთ ზოგიერთ გამარჯვებულს:

ქალთა შორის 100 მეტრზე სირბილში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ვ. კომისოვამ (11,32:), 400 მეტრზე პირველი იყო ტ. პროპოჩენკო (უკრაინა) 51,70; 4X100 მეტრზე ესტაფეტაში გაიმარჯვა მოსკოვის გუნდმა (43,80).

როგორც ვიცით ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ტ. ბიკოვამ (რსფსრ) 1 მ, 97 სმ-ზე გადებული თამასა გადალახა და ჩემპიონობა მოიპოვა. თბილისელი მ. ახალშენიშვილი ამ შეჯიბრებაში მეექვსე ადგილს დასჯერდა (1 მ, 85 სმ).

ვაჟებში 200 მეტრზე სირბილში პირველობა არავის დაუთმო უკრაინელმა ა. შლიაპნიკოვმა (21,13) 400 მეტრზე პირველი იყო მოსკოველი ჩერნეცკი — 46,17), 4X100 მ ესტაფეტაში კი გაიმარჯვა ლენინგრადის გუნდმა (39,76).

ვ. ეროშომ (უკრაინა) შუბი 84 მეტრსა და 90 სმ ისროლა და ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო უროს ტყორცნაში ჩემპიონი გახდა მისივე თანამემამულე ი. სედიხი (80 მ, 2 სმ).

ჰოკეი. საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა განმეორებით მატჩში კვლავ დაამარცხა შვეციის გუნდი ანგარიშით 10:2.

ტურნირის მორიგ მატჩს ჩვენი ჰოკეისტები პრაღაში ითამაშებენ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების წინააღმდეგ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)
13 სექტემბერს
ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობაზე
თბილისის „დინამო“ — ბაქოს „ნეფთჩი“
12 სექტემბერს — სათადარიგო შემადგენლობა დასაწყისი 19 საათზე.
13 სექტემბერს — ძირითადი შემადგენლობა დასაწყისი 19 საათსა და 30 წუთზე.
ორგანიზაციებისათვის ბილეთები გაიყიდება 11 და 12 სექტემბერს დილის 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა — 13 სექტემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტრო და მედმუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამ კომიტეტის წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საწარმოო აგრარული ქიმიურ - ფარმაცევტული გაერთიანება „საქქიმფარმპრეპარატების“ გენერალური დირექტორი

ნუგზარ ბორისის ძე ძნელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ტელევიზია

### 11 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე“, 18.00 — განცხადებები, 18.05 — „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“, 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.50 — მოსწავლეთათვის — „ოპერაცია „ზრუნვა“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ (ფ.), 20.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.40 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ო. იოსელიანი. გამეორებით (ფ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „აგატა თხოვდება“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა, 23.05 — სპორტული მიმოხილვა, 23.35 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.35 — განცხადებები, 18.40 — მხატვრული ფილმი „მისტერ მაკ-კინლის გაქცევა“. პირველი სერია.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.



რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.